# ეს მოხდა გუშინ

## სრული მეტალურგიული ციკლით

გუშინ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ანალიზი გაუკეთეს იანვარში გაწეულ მუშაობას. მიღწეულია სასურველი შედეგები. საწარმოო გეგმები შესრულდა სრული მეტალურგიული ციკლით. ქვეყანამ გეგმის გადამეტებით მიიღო ასობით ტონა თუჯი და კოქსი, ფოლადი და ნაგლინი, მილები... მზა პროდუქციის რეალიზაციის დავალებაც დიდი გადაჭარბებით არის შესრულებული.

იანვარში განსაკუთრებით დაწინაურდა მილსაგლინავი საამქროს კოლექტივი (უფროსი პ. წერეთელი); აქ დგან „400“-ის მაგალითზე ამჟამად მიმდინარეობს მეორე დგან „140“-ის ავტომატიზებულ მართვაზე გადაყვანა.

გუშინ უკვე აამუშავეს გამჭოლი დგანი, რომელმაც პირველი პროდუქცია გამოუშვა. ამასთან ერთხელ კიდევ შეამოწმეს რგოლური ღუმელების და შემომგლინავი დგანის წინა მაგიდების ავტომატური მუშაობა. გამოცდამ წარმატებით ჩაიარა.

გუშინ მილმგლინავებმა კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმეს — მთლიანად ხრულყვეს მაღალი სიმტკიცის მილების წარმოების რეჟიმი. ამ პროდუქციაზე დიდ მოთხოვნებს აყენებს როგორც ჩვენი, ისე საზღვარგარეთის მრეწველობა. ახალი პროდუქციის ათვისებაში თავი გამოიჩინეს უფროსმა ოსტატმა ო. სეფერთელაძემ, გამომწველმა შ. დილმელაშვილმა, საამქროს უფროსის მოადგილემ ს. უბირიამ და სხვ.

მეტალურგებმა თებერვალიც წარმატებით დაიწყეს. გუშინ და გუშინწინ ყველა უბანზე მაღალი შრომითი აღმავლობა იგრძნობოდა.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

## ხუთწლედი — ვადამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 28 (14024) | შაბათი, 3 თებერვალი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.


### ახალი პროდუქცია

ქუთაისი. გელათის ტრანსფორმატორების ქარხანა შეუდგა ახალი პროდუქციის 40-ვატიანი გამშვები მარეგულირებელი დროსელის სერიულ წარმოებას.

ახალი პროდუქციის წარმოებისათვის ქარხანაში განხორციელდა მთელი რიგი ტექნიკური სამუშაოები. მოკლე დროში მოეწყო სახვევი დაზგების რეკონსტრუქცია. ახლა აქ ამონტაჟებენ დამხმარე კონვეიერს, რაც ხელს შეუწყობს პროდუქციის გამოშვების გადიდებას. (საქდესი).

## კომუნისტური შრომის ფაბრიკა

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). მარელისელმა მეავეჯეებმა საიუბილეო წელს ფაბრიკის არსებობის 40 წლისთავი აღნიშნეს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ფაბრიკის კოლექტივი საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

მეავეჯეებმა ხუთწლედის მეორე სამეურნეო წელს დაამზადეს 87.000 მანეთის ზეგეგმითი ავეჯი, შრომის ნაყოფიერება გაადიდეს 12 პროცენტით, მიიღეს 66.000 მანეთი მოგება.

აქ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ახალი ტექნიკის დანერგვასა და შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას, შრომის ნოვატორული მეთოდების გავრცელებას. ამ ღონისძიებების წარმატებით განხორციელებისათვის ფაბრიკის კოლექტივს ახლახან კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო სახელი მიენიჭა. ამ სასიხარულო ამბავმა მეავეჯეებში შრომითი აღმავლობა გამოიწვია.

მოსკოველთა მოწოდების პასუხად ფაბრიკის კოლექტივი იბრძვის მიმდინარე წლისა და ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის.

## მხოლოდ პირველი ხარისხისა

თელავი. (საკ. კორ.). არსებობის შვიდი წლის მანძილზე მიუხედავად პროდუქციის გამოშვების გეგმების თავის დროზე განაღდებისა თელავის № 15 სამკერვალო ფაბრიკის მკერავებს ერთი და ორი რეკლამაცია როდი მოსვლიათ უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის.

საიუბილეო წელს ფაბრიკაში შექმნილმა ხარისხის კომისიამ, კვალიფიკაციის ასამაღლებელმა კურსებმა, ახალი ტექნიკის დანერგვამ და შრომის პირობების გაუმჯობესებამ ძირეული გარდატეხა შეიტანეს პროდუქციის ხარისხის ამაღლების საქმეში და გასულ წელს პირველი ხარისხის პროდუქციამ 91-ის ნაცვლად 94,2 პროცენტი შეადგინა.

№ 15 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა, 25 იანვრისათვის უზრუნველყო რა საერთო პროდუქციის გამოშვების თვიური გეგმის შესრულება, მომხმარებელს მიაწოდა მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქცია.

## მშენებელთა მარჯვენით

მცხეთა. (საკ. კორ.). მოსახლეობის დიდი პატივისცემა დაიმსახურა მეხუთე სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა, რომელსაც ინჟინერი ვ. ღოღობერიძე ხელმძღვანელობს. მარტო საიუბილეო წელს მშენებლებმა ააგეს არაგვისპირის რვაწლიანი და ლენინგორის საშუალო სკოლები, მჭადიჯვრის საშუალო სკოლას შემატეს 10 საკლასო ოთახი, მათი მარჯვენით აშენდა მცხეთის სატრიკოტაჟო ფაბრიკა, ლენინგორის საბავშვო ბაღი, მანქანათა საგამოცდო სადგურის 48-ბინიანი სახლი და 24-ბინიანი სახლი აღდგომელიანკარში, ახალი საცხოვრებელი სახლები დუშეთში, წეროვანში.

დიდი სამუშაოები ელით მშენებლებს მიმდინარე წელს. ისინი საექსპლოატაციოდ გადასცემენ 30-ბინიან საცხოვრებელ სახლს მცხეთაში, სანაოსნო სადგურს ანტიოქიასთან, მიწათმოქმედების ინსტიტუტის საცხოვრებელ სახლს წეროვანში და სხვ.

□

დღითიდღე იზრდება ინდუსტრიული რუსთავი. სულ ახლო წარსულში მას მხოლოდ მეტალურგთა ქალაქად იცნობდნენ, ახლა კი ქიმიკოსთა ქალაქადაც იქცა. მწყობრში ჩადგა ქიმიური ბოჭკოს ქარხანა. საწარმოსთან ერთად დავაჟკაცდნენ და სხვადასხვა პროფესიას დაეუფლნენ მასში მომუშავე ჭაბუკები და ქალიშვილები, მათ შორის საქსოვი საამქროს მქსოველი მზია აბაშიძეც, რომელიც დღიურ დავალებას ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს.

* * *

სურათზე: საამქროს ხედი. წინა პლანზე — მქსოველი მ. აბაშიძე.

ფოტო მ. შოშიაშვილისა.

□



# ზეიმი გმირ ქალაქში



## გვირგვინებით შემკობის ცერემონია

ვოლგოგრადი, 2 თებერვალი. (საკდესის კორ.). მხედრული დიდების დარბაზში მამაის ყორღანზე, სადაც მეოთხედი საუკუნის წინათ გააფთრებული ბრძოლები იყო, დღეს გაიმართა გვირგვინებით შემკობის საზეიმო ცერემონია.

...მოზაიკურ ძოწისფერ დროშებზე ოქროს ასოებით წარწერილია მრავალი ათასი საბჭოთა მეომრის სახელი, რომლებიც დაიღუპნენ სტალინგრადის დაცვის დროს. დარბაზის ცენტრში ანთია მარადიული დიდების ცეცხლი.

დღეს, სტალინგრადთან გერმანელ-ფაშისტთა ჯარების განადგურების 25 წლისთავის დღეს, აქ შეიკრიბნენ ვოლგოგრადის მშრომელთა წარმომადგენლები, ბრძოლის მონაწილენი, საბჭოთა არმიის მეომრები, გმირი ქალაქების, მეზობელი ოლქებისა და რესპუბლიკების დელეგაციები, რათა პატივი სცენ ვოლგის სიმაგრის დამცველთა ხსოვნას.

სტალინგრადის ბრძოლის მონაწილეთა შორის აქ არიან საბჭოთა კავშირის მარშლები ა. ი. ერიომენკო, ვ. ი. ჩუიკოვი, არტილერიის მთავარი მარშალი ნ. ნ. ვორონოვი, ჯავშანსატანკო ჯარების მთავარი მარშალი პ. ა. როტმისტროვი, ჯარის გვარეობათა მარშლები ვ. ი. კაზაკოვი, ი. ტ. პერესიპკინი, არმიის გენერლები პ. ი. ბატოვი, დ. დ. ლელიუშენკო, ი. გ. კრეიზერი, გენერალ-პოლკოვნიკები მ. ს. შუმილოვი, ი. მ. ჩისტიაკოვი, ი. ი. ლიუდნიკოვი, ა. ი. როდიმცევი, გენერალ-ლეიტენანტი კ. ფ. ტელეგინი, მამაცი სნაიპერი საბჭოთა კავშირის გმირი ვასილ ზაიცევი, სერჟანტ პავლოვის სახლის თავდაცვის ორგანიზატორი — საბჭოთა კავშირის გმირი იაკობ პავლოვი, პარტიის სტალინგრადის საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი და თავდაცვის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ს. ჩუიანოვი და სხვები.

მხედრული დიდების დარბაზის შესასვლელსა და თვით დარბაზში გარინდულა ადგილობრივი გარნიზონის ოფიცერთა საპატიო ყარაული, ისმის სამგლოვიარო მუსიკა. დაიწყო გვირგვინებით შემკობის ცერემონია. გვირგვინები მოიტანეს პარტიის საოლქო კომიტეტმა და საოლქო საბჭოს აღმასკომმა, პარტიის საქალაქო კომიტეტმა და საქალაქო საბჭომ, სტალინგრადის ბრძოლის მონაწილეებმა, საბჭოთა არმიის მეომრებმა, გმირი ქალაქების მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, სევასტოპოლის, ოდესის, გმირი ციხე-სიმაგრე ბრესტის, აგრეთვე მინსკის, სარატოვის, როსტოვის ოლქებისა და ყალმუხეთის ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლებმა.

მუსიკა შეწყდა. ერთი წუთით დუმილი ჩამოვარდა. დიდებულად ჟღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი, ისმის საარტილერიო სალუტის ზალპები. რადიო გადმოსცემს სტალინგრადის ბრძოლის გმირებისადმი მიძღვნილ დ. შოსტაკოვიჩის დიდებულ „პრელუდს“.

## საძირკველი ჩაეყარა მუზეუმსა და ბრძოლის პანორამას

ვოლგოგრადი, 2 თებერვალი. (საკდესის კორ.). დღეს ვოლგოგრადში საზეიმო ვითარებაში საძირკველი ჩაეყარა ქალაქის დაცვის მუზეუმსა და სტალინგრადის ბრძოლის პანორამას. ისინი აღიმართება პავლოვის სახლსა და იმ წისქვილის ნანგრევების გვერდით, რომლებიც დატოვეს ვოლგაზე გრანდიოზული ბრძოლის სამახსოვროდ.

მუზეუმისა და პანორამის საძირკვლის ჩაყრის ცერემონიაზე შეიკრიბა ვოლგოგრადის ათასობით მშრომელი, სტალინგრადის ბრძოლის მონაწილენი, რომლებიც ჩამოვიდნენ სტალინგრადთან გერმანელ-ფაშისტთა ჯარების განადგურების 25 წლისთავის ზეიმზე, გმირი ქალაქების, მეზობელი ოლქების დელეგაციები.

საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ი. მ. კოროლიოვმა გახსნა მიტინგი. იგი დამსწრეთ სთხოვს მუზეუმისა და პანორამის მომავალი შენობის საძირკველში ჩადონ მემორიალური თუჯის ფილა წარწერით: „აქ აღიმართება ქალაქის დაცვის მუზეუმისა და სტალინგრადის ბრძოლის პანორამის შენობა. 1968 წლის 2 თებერვალი“. ამ ფილას დებენ ოლქისა და ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ბრძოლის მონაწილე საბჭოთა არმიის თვალსაჩინო მხედართმთავრებთან და ყოფილ მეომრებთან ერთად.

სიტყვა ეძლევა გენერალ-პოლკოვნიკ ა. ი. როდიმცევს — ყოფილ მეთაურს ლეგენდარული მე-13 გვარდიული დივიზიისა, რომელიც გმირულად ებრძოდა მტერს სწორედ ამ ადგილებში — წისქვილისა და პავლოვის სახლის რაიონში. ქალაქის დაცვის ახალი მუზეუმი და სტალინგრადის ბრძოლის პანორამა, თქვა მან, გახდება საბჭოთა ხალხის გმირობის დიადი ძეგლები, ხალხისა, რომელმაც სასტიკ ბრძოლაში ვოლგის ნაპირებზე გაანადგურა ფაშისტური ურდოები. სტალინგრადის ბრძოლის გმირთა მამაცობა არასოდეს არ წაიშლება ხალხთა მეხსიერებიდან. იგი უკვდავია.

## სტალინგრადთან გამარჯვების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი კრება

25 წლის წინათ დამთავრდა სტალინგრადის რაიონში ალყაშემორტყმულ გერმანელ-ფაშისტთა ჯარების ლიკვიდაცია. საბჭოთა იარაღის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა ისტორიული ბრძოლა ვოლგის ნაპირებთან, რომელიც ორას დღე-ღამეს გაგრძელდა. სტალინგრადთან შეირყა ჰიტლერული გერმანიის სამხედრო ძლიერება, მისი არმიის მორალური სულისკვეთება.

ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის წარმომადგენლებთან ერთად სტალინგრადისათვის ბრძოლაში მონაწილეობდნენ ქართველი ხალხის შვილები.

მ. გორკის სახელობის კულტურის სახლში საქართველოს პროფსაბჭომ, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციამ და საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექციამ მოაწყეს სტალინგრადთან ბრძოლის დამთავრების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

პრეზიდიუმში არიან სტალინგრადისათვის ბრძოლის მონაწილენი — საბჭოთა არმიის სახელმოხვეჭილი გენერლები და ოფიცრები, საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

კრება გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და კულტმასობრივი მუშაობის განყოფილების გამგემ ნ. წერეთელმა.

მოხსენება „სტალინგრადის გმირული დაცვა და მისი ისტორიული მნიშვნელობა“ გააკეთა სტალინგრადის ბრძოლის მონაწილემ პროფესორმა დ. გვრიტიშვილმა.

მოგონებანი ვოლგაზე დიდი ბრძოლის შესახებ დამსწრეთ გაუზიარეს გვარდიის წითელდროშოვანი 51-ე დივიზიის ყოფილმა მეთაურმა თადარიგის გენერალ-მაიორმა ნ. თავართქილაძემ, ბრიგადის ყოფილმა მეთაურმა თადარიგის პოლკოვნიკმა ლ. ერისთავმა. თბილისის ოქტომბრის რაიონის მოსწავლეთა და ახალგაზრდობის სახელით სტალინგრადისათვის ბრძოლების მონაწილეებს მიესალმა 37-ე საშუალო სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ნ. ჩახვაშვილი.

სტალინგრადთან გმირული ბრძოლის მონაწილეთა ჯგუფი დაჯილდოვდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით. დაჯილდოებულთა შორის არიან თადარიგის გენერლები ვ. ჩანიშვილი, ნ. თავართქილაძე, ნ. კალაძე, თადარიგის ოფიცრები ლ. ერისთავი, კ. მეგრელიშვილი, კ. ლომთათიძე, რ. ლოლაძე, ნ. მგელაძე, ს. ხოფერია, ლ. ჯავახიშვილი და სხვები. სიგელები დაჯილდოებულთ გადასცა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. გამრეკელმა. ვოლგაზე ბრძოლის მონაწილეთა მეორე ჯგუფს გადაეცა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საპატიო სიგელები.

საღამოს დასასრულს გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

# მუდამ შრომის ავანგარდში

## საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის კონფერენცია

2 თებერვალს გაიმართა საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის XXXVI კონფერენცია, რომელმაც შეაჯამა ორი წლის მუშაობის შედეგები.

კონფერენციის პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მოსკოველი, ლენინგრადელი, ბაქოელი, ერევნელი სტუმრები.

კონფერენციის დელეგატებმა ერთსულოვნად აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ კომკავშირის ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ლ. ბურლაკოვი, კომკავშირის ბაქოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ალეკპეროვი, ქალაქ ერევნის ალკკ სპანდარიანის რაიკომის პირველი მდივანი კ. ხანგელდიანი, თბილისის სამხედრო გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენლები.

კონფერენციამ მოისმინა და განიხილა საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის პირველი მდივნის გ. გაბუნიას საანგარიშო მოხსენება, აგრეთვე სარევიზიო კომისიის ანგარიში, რომელიც გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ დ. კალანდაძემ.

მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი რ. მეტრეველი და საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი ო. ლოლაშვილი.

საანგარიშო მოხსენების გამო კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია.

კონფერენციამ აირჩია საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობანი, აგრეთვე საქართველოს კომკავშირის მორიგი ყრილობის დელეგატები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი ორგანიზატორი გ. ფომინოვი.

* * *

გაიმართა საქართველოს ალკკ თბილისის ახლად არჩეული საქალაქო კომიტეტის პირველი პლენუმი.

საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია გ. გაბუნია, მეორე მდივნად — ც. კოჩეჩაშვილი, მდივნად — ვ. ალავიძე. (საქდესი).

### ახალი სახელები

□ □

## წელს უფრო მეტი

მაღალმთიან სოფელ ხრეითში ახლა ნამდვილი ზამთარია, თოვლს გადაუთეთრებია ირგვლივ ყველაფერი. ზამთარია, მაგრამ ხრეითელ მეცხოველეებს ეს როდი აშინებთ. საიუბილეო წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს, გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქტების დამზადების გეგმები. აგრეთვე საკმაოდ მოიმარაგეს პირუტყვის საკვები და ახლა პირუტყვს ნორმალურად აზამთრებენ.

პირუტყვის ბინებთან დროულად მიიტანეს საკმაო საკვები. ახლა ისინი გულმოდგინედ უვლიან პირუტყვს. მათი მიზანია ზამთარშიც შეინარჩუნონ მაღალი წველადობა, რომ უხვად მისცენ სამშობლოს მეცხოველეობის პროდუქტები.

მოწინავე მეცხოველეთა რიგში ჩადგა ახალგაზრდა მწველავი კომკავშირელი მედიკო შეყილაძე. მედიკო 15 საფურაჟე ძროხას უვლის. გასული წელი მან კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა. ერთ ძროხაზე საშუალოდ ნაცვლად 1.110 ლიტრისა 1.383 ლიტრი რძე მიიღო. ეს მაჩვენებელი მაღალმთიანი სოფლისათვის სარეკორდოა.

მედიკო შეყილაძემ კარგად დაიწყო ხუთწლედის მესამე წელიც. ქალიშვილი ყოველდღე მიიჩქარის ფერმისაკენ, საკოლმეურნეო ფერმაში ენერგიულად შრომობს, იმისათვის იბრძვის, რომ წელს უფრო მეტი რძე მიიღოს. სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს, იანვრის გეგმა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულა. იანვარში საშუალოდ ერთ ძროხაზე უკვე 115 ლიტრი რძე მიიღო, ეს გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 40 ლიტრით მეტია.

ჭიათურაში მედიკო შეყილაძეს ახლა ყველა იცნობს როგორც საქმისმოყვარე, უნარიან მეცხოველეს. მან ვალდებულება იკისრა ხუთწლედის მესამე წელს საშუალოდ ერთ ძროხაზე 1.500 ლიტრი რძე მიიღოს, [illegible] ლავი [illegible] ცევს.

სურათზე: [illegible]

ფოტო [illegible] (საქდესი).



## საბჭოთა კავშირ-ირანის კონფერენცია სარკინიგზო მიმოსვლის საკითხებზე

ბაქო, 1 თებერვალი. (საკდესი). დღეს ბაქოში დამთავრდა საბჭოთა კავშირ-ირანის სარკინიგზო მიმოსვლის საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომელიც ოთხ დღეს გაგრძელდა. კონფერენციის დასასრულს ხელი მოაწერეს ოქმს, რომელიც ითვალისწინებს ორ ქვეყანას შორის სატრანსპორტო ურთიერთობისა და სარკინიგზო ტვირთზიდვის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას.

შარშან, უთხრა საკდესის კორესპონდენტს გზათა მინისტრის მოადგილემ ვ. ს. გავრილოვმა, საბჭოთა და ირანელმა რკინიგზელებმა ერთად გადაზიდეს 500 ათასამდე ტონა ტვირთი. ეს ტვირთის ნაკადი წლითიწლობით იზრდება და ახლა ერთიორად დიდდება. სსრ კავშირიდან ირანში იგზავნება სხვადასხვა მოწყობილობა, მანქანათმშენებლობის პროდუქცია, ირანიდან ვიღებთ ბამბას, ტყავის ნედლეულს, მატყლს, ჩირს.

კონფერენციამ გადაწყვიტა ორ ქვეყანას შორის ტვირთზიდვის, აგრეთვე სხვა ქვეყნებიდან ირანში და საბჭოთა კავშირის გავლით უკან ტვირთის გადაზიდვის მთელი რიგი საკითხები.

□ □

## საბჭოთა მეგობრები — თეოდორაკისს

საბჭოთა კავშირის ბერძენ დემოკრატებთან სოლიდარობის კომიტეტმა ცნობილ კომპოზიტორს მიკის თეოდორაკისს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია: საბჭოთა მეგობრები სიხარულით შეხვდნენ ცნობას თქვენი გათავისუფლების შესახებ და გისურვებენ ჯანმრთელობას, სიმხნევეს, ახალ წარმატებებს თქვენს საქმიანობაში. (საკდესი).

## ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ს. ფ. ჭელიძისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ა. გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორს ამხ. სერგო ფილიპეს-ძე ჭელიძეს მიენიჭოს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი,
1968 წლის 2 თებერვალი.

### მაქსიმ გორკის დაბადების 100 წლისთავის იუბილე



## რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის სხდომა

მიმდინარე წელს სრულდება გენიალური რუსი მწერლის, სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლის მაქსიმ გორკის დაბადების 100 წლისთავი.

ამ დღეებში საქართველოს მწერალთა კავშირში მწერალ კონსტანტინე ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით გაიმართა მაქსიმ გორკის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს მომწყობი რესპუბლიკური კომიტეტის მორიგი სხდომა.

სხდომამ განიხილა ღონისძიებანი, რომლებიც უნდა განხორციელდეს რესპუბლიკაში მაქსიმ გორკის იუბილესთან დაკავშირებით. აზრი გამოთქვეს საიუბილეო კომიტეტის წევრებმა: საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა გ. აბაშიძემ, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარემ სსრკ სახალხო არტისტმა ს. დოლიძემ, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ, სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა უჩა ჯაფარიძემ, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარმა რეჟისორმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ა. ჩხარტიშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის საგამომცემლო სამმართველოს უფროსმა ა. გომიაშვილმა, ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ რედაქტორმა მ. მრევლიშვილმა, მწერლებმა დ. შენგელაიამ, ა. ქუთათელმა, რ. ჯაფარიძემ, ა. სულაკაურმა, ნ. დუმბაძემ, ე. ყიფიანმა, თ. ჭილაძემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორებმა ვ. შადურმა, გ. მერკვილაძემ. შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ ბ. ციციშვილმა.

რესპუბლიკურმა საიუბილეო კომიტეტმა გადაწყვიტა მ. გორკის დაბადების 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით გაიმართოს საიუბილეო საღამო თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. აღიძრას შუამდგომლობა, რათა ქალაქ თბილისში დაიდგას გორკის ძეგლი. მემორიალური დაფა გაუკეთდეს იმ სახლს, სადაც ცხოვრობდა დიდი რუსი მწერალი. გამოიცეს მაქსიმ გორკის მოთხრობები და მწერლის წერილები ლიტერატურაზე „საუბარი ახალგაზრდობასთან“. გამოიცეს აგრეთვე მონოგრაფიები და ნარკვევები გორკის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, ქართველი მოღვაწეების მოგონებები დიდ რუს მწერალზე და ფოტოალბომი „გორკი საქართველოში“.

იუბილესათვის გადაღებულ იქნეს დოკუმენტური კინონარკვევი „გორკის სახელთან დაკავშირებული ადგილები საქართველოში“.

იუბილეს დღეებში მოეწყობა მ. გორკის ნაწარმოებთა მიხედვით გადაღებული მხატვრული კინოფილმების ფესტივალი. სურათების სახელმწიფო გალერეაში მოეწყობა დიდი გამოფენა „გორკი და საქართველო“.

საიუბილეო საღამოები გაიმართება ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში, რუსთავსა და საქართველოს სხვა ქალაქებში.

თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში — ყოფილ ამიერკავკასიის რკინიგზის სახელოსნოებში, სადაც სიჭაბუკეში მუშაობდა მ. გორკი, გაიმართება მიტინგი.

იუბილეს დღეებში გამოვა მ. გორკის თხზულებათა მეთორმეტე ტომი, რითაც დასრულდება დიდი მწერლის თხზულებათა მრავალტომეულის გამოცემა ქართულ ენაზე. (საქდესი).

50 წელი
სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები

# ხალხი და არმია ერთიანი არიან

**ვ. პ. მჟავანაძე,**
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

სულ ცოტა ხნის წინათ საბჭოთა კავშირის ხალხებმა, ჩვენმა საზღვარგარეთელმა მეგობრებმა ზეიმით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე, დღეს კი ვემზადებით ახალი ღირსშესანიშნავი მოვლენისათვის — სახელოვანი საბჭოთა შეიარაღებული ძალების 50 წლისთავისათვის. საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორია განუყოფელია ხალხის ისტორიისაგან, ჩვენი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ისტორიისაგან. წინა რევოლუციები, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, იმის გამო იღუპებოდნენ, რომ უნარი არ შესწევდათ დაეცვათ თავი. აი ამიტომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდან დაისვა საკითხი ისეთი შეიარაღებული ძალის შექმნის შესახებ, რომელიც მტკიცედ იდგებოდა სოციალიზმის პირველ მონაპოვართა სადარაჯოზე, დაძლევდა დამხობილი ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგობას და გაანადგურებდა უცხოეთის ინტერვენციას.

დიდმა ლენინმა შეიმუშავა მწყობრი მოძღვრება სოციალისტური სამშობლოს დაცვისა და მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების შესახებ. პარტიისა და ხალხის ძალღონე მან იქითკენ წარმართა, რომ შეექმნათ ახალი ტიპის არმია, რომელსაც, როგორც ხაზგასმით აღნიშნავდა ილიჩი, ხვდა დიდი პატივი იარაღით ხელში დაეცვა წმიდა იდეები და რომლის განმტკიცებაზეც დამოკიდებულია საბჭოების რესპუბლიკის სიმტკიცე იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, დამოკიდებულია სოციალიზმის გამარჯვება რუსეთში და მთელ მსოფლიოში. ასე შეიქმნა მუშურ-გლეხური წითელი არმია, რევოლუციის არმია, თავისუფლებისა და ძმობის არმია. კომუნისტური პარტიის მიერ მჭიდროდ შეკავშირებულმა, გამოწრთობილმა და აღზრდილმა, მან ლეგენდარული სახელი მოიხვეჭა.

და მთელი თავისი ისტორიული გზის მანძილზე, ჩვენი სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე საბჭოთა არმია თავდადების, გმირობისა და მამაცობის, პარტიისა და ხალხისადმი უსაზღვრო ერთგულების მაღალ ნიმუშებს გვიჩვენებდა.

კიდევ უფრო გამოწრთობილი და განმტკიცებული გამოვიდა ჩვენი არმია დიდი სამამულო ომიდან, როცა სასტიკად დამარცხებულ იქნენ გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები. მაგრამ ეს გამარჯვება იოლად როდი ყოფილა მოპოვებული. იგი მოპოვებულ იქნა მთელი საბჭოთა ხალხის უმაგალითო ღონისძიებათა განხორციელებით, მან მოითხოვა მთელი მისი მორალური და სულიერი ძალების დაძაბვა. ამ ომში გაიმარჯვა ჩვენმა საბჭოთა საზოგადოებრივმა და სახელმწიფოებრივმა წყობილებამ, ჩვენმა თავისუფალმა ხალხმა, გაიმარჯვეს ჩვენმა მამაცმა შეიარაღებულმა ძალებმა, გაიმარჯვა ჩვენმა კომუნისტურმა იდეოლოგიამ. ამ ომში ფრონტი და ზურგი ერთ მთლიანობად იყვნენ შედუღაბებული. საბჭოთა ხალხის დიდი გამარჯვების წყარო იყო ჩვენი მძლავრი სოციალისტური ინდუსტრია, დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობა, ჩვენი საზოგადოების ურღვევი სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობა, ხალხის მჭიდროდ შეკავშირება მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი და საბჭოების ქვეყნის ხალხთა მეგობრობა. ფრონტისა და ზურგის განუყრელმა ერთიანობამ გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა ადამიანების უმაგალითო მასობრივი გმირობით, რომლებიც იარაღით ხელში იბრძოდნენ ბრძოლის ველზე და თავდადებით ჭედავდნენ ამ იარაღს ქარხნების საამქროებში.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე ჩვენი დიადი გამარჯვების დღიდან თითქმის 23 წელიწადი გავიდა. ისტორიის ამ გაკვეთილს თითქოს ღრმა კვალი უნდა დაეტოვებინა სამხედრო ავანტიურების მოყვარულთა მეხსიერებაში, მაგრამ ზოგიერთი ვინმესთვის მან, როგორც ჩანს, უნაყოფოდ ჩაიარა. ამჟამად ამერიკელი იმპერიალისტები სულ უფრო მეტად და მეტად ამწვავებენ ატმოსფეროს, ახალი ომის ზღვარზე აყენებენ მსოფლიოს. სწორედ ამიტომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის შესახებ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საჭიროა ყოველი ღონისძიებით განვამტკიცებდეთ სამშობლოს დაცვას. საბჭოთა შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობა ამჟამად უაღრესად მაღალ დონეზეა.

საბჭოთა შეიარაღებული ძალები თვით ხალხის ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანია. საბჭოთა არმიის მამაცი მეომრები მუდამ გრძნობენ თავიანთ განუყრელ კავშირს მშრომელებთან. ჩვენში, საქართველოში, ეს ტრადიციული კავშირი იზრდება და მტკიცდება იმ სამახსოვრო დღეებიდან, როცა 1921 წლის თებერვალში საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა რუსეთს, ვ. ი. ლენინს. თავის მიმართვაში საქართველოს რევოლუციური კომიტეტი წერდა, რომ საქართველოს მენშევიკური მთავრობის დასახმარებლად „ისწრაფვიან“ ევროპის რეაქციის ძალები. გაერთიანებული შავი ლაშქარის დაწოლისათვის წინააღმდეგობის გაწევა მხოლოდ შეერთებულ წითელ სოციალისტურ ლაშქარს შეუძლია. ჩვენ ვიმედოვნებთ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არა მარტო დიდი პროლეტარული რევოლუციის, არამედ დიდი მატერიალური შესაძლებლობების ქვეყანა, არ დაგვტოვებს ჩვენ უთანასწორო ბრძოლაში და დახმარებას აღმოუჩენს ახალშობილ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას...“

ვ. ი. ლენინის მითითებით საქართველოს მუშებსა და გლეხებს, რომლებიც მენშევიკების ბატონობის წინააღმდეგ აჯანყდნენ, დაეხმარა გმირი XI წითელი არმია. 1921 წლის 25 თებერვალს აჯანყებულებმა და წითელი არმიის ნაწილებმა გაათავისუფლეს თბილისი. იმავე დღეს სერგო ორჯონიკიძემ ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს ტელეგრაფით აცნობა მოსკოვში: „თბილისში ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“.

XI წითელი არმიის განმათავისუფლებელი მისია ოქროს ასოებით არის ჩაწერილი საბჭოთა საქართველოს ისტორიაში, ამიერკავკასიის სოციალისტური რესპუბლიკების ისტორიაში. „რკინის ნაკადის“ მეომრებმა საქართველოს მშრომელებს არა მარტო ხსნა მოუტანეს მენშევიკების ბატონობისაგან, არამედ კიდევაც დაეხმარნენ აღედგინათ სახალხო მეურნეობა და მუშებთან და გლეხებთან ერთად, მათთან ხელიხელჩაკიდებულებს, მათ მხარდამხარ დაეწყოთ პირველი ქვები სოციალიზმის საძირკველში, ეწეოდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო, განმარტებითს მუშაობას მოსახლეობაში. ქართველი ხალხი ამაყობს იმით, რომ XI წითელი არმიის რიგებში მამაცურად იბრძოდნენ, დიდ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდნენ ისეთი მამაცი მეომრები, როგორიც იყვნენ მოსე სირაძე, ალექსანდრე გეგეჭკორი, შალვა ელიავა, ბესარიონ კვირკველია, შალვა ასკურავა, პეტრე არველაძე, პეტრე აღნიაშვილი, გერმანე მგალობლიშვილი, შალვა მათიკაშვილი და მრავალი სხვა. ის დღე, როცა თავდაცვის მინისტრმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. ა. გრეჩკომ მემკვიდრეობით გადასცა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქს წითელი დროშა და წითელი დროშის ორდენი, რომლებითაც თავის დროზე დაჯილდოებული იყო ამიერკავკასიის წითელდროშოვანი არმია, განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი დღე გახდა მთელი ქართველი ხალხისათვის.

ამ ცოტა ხნის წინათ შესრულდა კავკასიისათვის ბრძოლის 25 წელი. იმ ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში, რომლებიც კავკასიის ველებსა და უღელტეხილებს იცავდნენ, ისევე როგორც სხვა ფრონტებზე, იბრძოდნენ ჩვენს თვალუწვდენელ ქვეყანაში მცხოვრები ყველა ხალხის, ყველა ეროვნების წარმომადგენლები. მაგრამ განსაკუთრებით საგულისხმოა ის, რომ კავკასიაში მტრის განადგურებაში მონაწილეობდნენ მე-9 და მე-20 სამთო-მსროლელი დივიზიები, რომლებიც წინათ XI წითელი არმიის შემადგენლობაში შედიოდნენ. როცა გაჩაღდა გრანდიოზული ბრძოლა კავკასიისათვის, ამიერკავკასიის კომუნისტთა მთელი შემადგენლობის ნახევარზე მეტი შევიდა არმიის შემადგენლობაში. ისინი კი, ვინც ზურგში დარჩა, უდიდეს სიძნელეთა გადალახვით უზრუნველყოფდნენ სამხედრო ტექნიკის, საომარი მასალების დაჩქარებულ წარმოებას და შეუფერხებლად აწვდიდნენ მათ ფრონტს.

დღეს არ შეიძლება არ გავიხსენოთ ისიც, რომ ომის დღეებში გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის ათეულ ათასობით ქართველი მეომარი აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით, რომ მათგან საუკეთესოებს საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭათ. სულ კი დიდი სამამულო ომის ფრონტებზე წავიდა საქართველოს თითქმის 600 ათასი შვილი. ბევრი მათგანი მამაცთა სიკვდილით დაეცა. ჩვენში, საქართველოში, თითქმის არ არის არც ერთი ქალაქი, არც ერთი სოფელი, სადაც აღმართული არ იყოს შინდაუბრუნებელთა პატივსაცემად ძეგლები და ობელისკები, — რომლებიც მდუმარედ გამოხატავენ ხალხის მწუხარებას.

წლითიწლობით სულ უფრო და უფრო მტკიცდება არმიისა და ხალხის კავშირი. ხალხის ტრადიციები უკვე დიდიხანია არმიის ტრადიციებად იქცნენ. ვინ არიან დღეს ისინი, ჩვენი სახელოვანი მებრძოლები? ესენი არიან მუშებისა და კოლმეურნეების, სახალხო ინტელიგენციის შვილები. არმიაში სამსახურს რომ გაათავებენ, ისინი კვლავ დაუბრუნდებიან თავიანთ მშვიდობიან პროფესიებს, მშვიდობიან შრომას ფაბრიკებსა და ქარხნებში, მინდვრებსა და პლანტაციებში. მაგრამ ნამდვილ სამხედრო სამსახურშიც რომ არის, ახალგაზრდა მუშა, კოლმეურნე ან მოსამსახურე კავშირს როდი წყვეტს თავის საწარმოსთან, კოლმეურნეობასთან, დაწესებულებასთან.

თავის მხრივ ნაწილების სარდლობა სწერს ჯარისკაცის მახლობლებსა და ამხანაგებს, თუ როგორ გადის სამსახურს მეომარი, რამდენად მაღლა ატარებს იგი იმ შრომითი კოლექტივის სახელს, რომელმაც იგი აღზარდა. ახლაც ჩვენს ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებში შეგვიძლია ვნახოთ სიყვარულით გაფორმებული სტენდები საბჭოთა არმიის მეომრების, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნების პორტრეტებით. და იქვე ყველას სანახავად წარმოდგენილია მეთაურების, პოლიტმუშაკების, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნების წერილები, რომლებშიც ისინი მადლობას უხდიან კოლექტივებს, საბჭოთა შეიარაღებული ძალებისათვის ღირსეული შევსება რომ აღზარდეს.

წლითიწლობით მტკიცდება მეომრების მეგობრობა ადგილობრივ მოსახლეობასთან. ჯარისკაცები და ოფიცრები აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკის იმ ქალაქების პოლიტიკურ და შრომითს ცხოვრებაში, სადაც სამხედრო ნაწილებია განლაგებული. ბევრი მეომარი არჩეულია ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებად, ისინი მონაწილეობენ არჩევითი პარტიული ორგანოების მუშაობაში, მშრომელთა შორის ეწევიან მასობრივ-პოლიტიკურ, პროპაგანდისტულ მუშაობას. საბჭოთა არმიის მეომრები წარმოადგენენ კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის დაცვის საუკეთესო ნიმუშს, უჩვენებენ თავდადების, გამძლეობის, სიმამაცისა და გამბედაობის მაგალითებს, თუ რაიმე გასაჭირია, თუ ადამიანებს სტიქიური უბედურება მოუსწრებს, დასახმარებლად, როგორც წესი, პირველ რიგში მეომრები მიეშურებიან. ადამიანების, საზოგადოებრივი საკუთრებისა და მოქალაქეთა პირადი ქონების გადასარჩენად ისინი გაბედულად გადაეშვებიან ხოლმე ცეცხლსა და წყალში.

აი ერთი მაგალითი.

უეცრად აბობოქრებულმა სტიქიამ დააზიანა კავკასიონის მთავარ ქედზე გამოყვანილი გაზსადენის დიდმნიშვნელოვანი ნაწილი. მწყობრიდან გამოყვანილ იქნა აგრეთვე დარიალის ხეობაზე მიმავალი საავტომობილო გზის დიდი მონაკვეთი. ახლომდებარე სოფლების მშრომელებთან ერთად სტიქიის დაუყოვნებლივ შეებნენ სამხედრო-საინჟინრო ქვეგანაყოფები. მიუხედავად უგზოობისა, ძნელად მისადგომი მთაგორიანი ადგილისა, ზოგჯერ სიცოცხლის რისკით, მეომრებმა მშრომელებთან ერთად შედარებით მოკლე ვადაში აღმოფხვრეს სტიქიური უბედურების შედეგები.

როცა მთებში ძლიერ ადიდდება მდინარეები ან უღელტეხილებზე უეცრად დიდი თოვლი მოვა, როცა ადამიანები მძიმე პირობებში აღმოჩნდებიან, ხოლო ტექნიკას, კოლმეურნეობათა ფარებს, დაბლობებში ნათესებსა და ნარგავებს დაღუპვა დაემუქრება, მაშინ ჰაერში ადიან ვერტმფრინავები, ბრძოლაში ებმებიან ტანკები, ბულდოზერები, მცურავი ჯავშანტრანსპორტიორები.

მეომართა და მშრომელთა თანამეგობრობა თავს იჩენს, რა თქმა უნდა, არა მარტო საგანგებო სიტუაციებში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. თვით ცხოვრება აახლოებს, ანათესავებს მეომრებსა და რესპუბლიკის მოსახლეობას, რომლებსაც ყველაფერი საერთო აქვთ: საქმეებიც, სიხარულიც, დღესასწაულებიც. როგორც ცნობილია, წარმატებებისათვის, რომლებსაც რესპუბლიკის მშრომელებმა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიაღწიეს, საქართველო დიდი ოქტომბრის 50-ე წლისთავის წინ დაჯილდოებულ იქნა მეორე ლენინის ორდენით. ამ სიხარულს მშრომელებთან ერთად ამიერკავკასიელი მეომრებიც იზიარებენ.

ასე იყო ყოველთვის.

მაგონდება იმ წლების ერთი შესანიშნავი მოვლენა, როცა მწყობრში დგებოდა ზაჰესი — საბჭოთა საქართველოს პირველი დიდი ჰიდროელექტროსადგური და ჩვენს ქვეყანაში ვოლხოვის სადგურის შემდეგ მეორე სადგური, რომელიც აგებულ იქნა გოელროს ლენინური გეგმით. ჰიდროსადგურისა და მთავარ კაშხალთან აგებული ვ. ი. ლენინის ძეგლის საზეიმო გახსნა ნამდვილ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად გადაიქცა. ჩვენ, თბილისის სამხედრო სასწავლებლის კურსანტებს, ბედნიერება გვხვდა იმ დაუვიწყარ დღეს საპატიო ყარაულში ვმდგარიყავით. ჩვენ დავეწყეთ ტრიუმფალურ თაღთან, რომელთანაც მოვიდნენ მიხეილ ივანეს-ძე კალინინი, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე და სხვები. პატაკი რომ მიიღო, მ. ი. კალინინმა საპატიო ყარაულის რიგებს ჩამოუარა და მოგვესალმა. პასუხად ჩვენც ხმამაღლა შევძახეთ: „ვაშა!“, „ურა!“.

დაიწყო მიტინგი, რომელზეც ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური გახსნილად გამოაცხადეს. გაისმა „ინტერნაციონალის“ ჰანგები. კვლავ გაისმა ძახილი „ვაშა!“. ჩვენთვის, კურსანტებისათვის, უდიდესი ბედნიერება იყო საპატიო ყარაულში დგომა ილიჩის ბრინჯაოს ფიგურასთან და ისიც ასეთ დღეს! ეს ძალიან საზეიმო წუთები იყო. და თვითეული ჩვენგანი უდიდესი სიხარულის გრძნობამ მოიცვა. თვითეული ჩვენგანი ფიქრით იძლეოდა ფიცს, რომ პირნათლად შეასრულებდა თავის მხედრულ მოვალეობას, მთელ ძალღონეს მოახმარდა მშობლიურ ხალხს, საყვარელ სამშობლოს, გააკეთებდა ყველაფერს მისი ბედნიერებისა და აყვავებისათვის.

არმია ცხოვრების კარგი სკოლაა თვითეული ახალგაზრდისათვის. აქ იგი იძენს ცოდნას, თანამედროვე იარაღისა და ტექნიკის ხმარების უნარს, იღებს პოლიტიკურ მომზადებასა და ფიზიკურ წრთობას, ამზადებს თავს სამშობლოს დასაცავად. ამასთან ერთად არმიაში ახალგაზრდობა ეუფლება ისეთ პროფესიებს, რომლებიც სამსახურის შემდეგ შესაძლებლობას აძლევენ მას მაშინვე ჩაებას მშვიდობიან აღმშენებლობითს შრომაში. ნამდვილი სამსახურის შემდეგ ჭაბუკები მშობლიურ კოლექტივში ბრუნდებიან გამობრძმედილნი, დისციპლინიანნი, შრომის ნამდვილი ფასის მცოდნენი.

ყოველივე ეს მიღწეულია მეთაურებისა და პოლიტმუშაკების, არმიის პარტორგანიზაციების ღონისძიებათა მეოხებით. ჩვენ კმაყოფილებით შეგვიძლია ხაზი გავუსვათ, რომ დღეს ჩვენს არმიას საკმაოდ ჰყავს კვალიფიციურ აღმზრდელთა შესანიშნავი კადრები, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ დიდ საქმეს.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან, ცდილობენ გააუმჯობესონ წვევამდელი და გასაწვევი ასაკების ახალგაზრდობის სამხედრო მომზადება. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახლა საყოველთაო სამხედრო მოვალეობის კანონთან დაკავშირებით, რომელიც ამას წინათ იქნა მიღებული, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის იმ დადგენილებებთან დაკავშირებით, რომლებიც პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი სისტემატურად განიხილავს გაწვევის შედეგებს და სახავს ღონისძიებებს, რომლებიც წლითიწლობით სრულყოფენ ახალგაზრდობის მომზადებას არმიაში სამსახურისათვის. ჩვენ დაწესებული გვაქვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, რომელსაც ყოველწლიურად ვანიჭებთ გაწვევის შედეგების მიხედვით იმ ქალაქსა და რაიონს, სადაც ეს მუშაობა ყველაზე უკეთ არის დაყენებული. ამჟამად დროშა ქედაშია — რესპუბლიკის ერთ-ერთ საზღვრისპირა რაიონში. დაწესებულია აგრეთვე დროშა, რომელიც გადაეცემა ერთ-ერთ საზღვრისპირა ქალაქს ან რაიონს, რომლის მშრომელები ყველაზე აქტიურ მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო საზღვრის დაცვაში.

წვევამდელი და გასაწვევი კონტინგენტების სამხედრო მომზადების გაძლიერებასთან ერთად საჭიროა ვიზრუნოთ ყველა მშრომელთა, და პირველ რიგში ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისთვისაც. ამ მუშაობას, როგორც არაერთხელ აღუნიშნავს ხაზგასმით ლ. ი. ბრეჟნევს, უნდა ეწეოდეს მთელი ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა.

სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ღერძია ჩვენი საბჭოთა სამშობლოს უშიშროებისათვის თვითეული მოქალაქის პირადი პასუხისმგებლობის გაძლიერება. იმიტომ, რომ არა მარტო არმია, არამედ მთელი სამოქალაქო მოსახლეობაც მზად უნდა იყოს ყოველ წუთს გამანადგურებელი პასუხი გასცეს აგრესორს, თუ იგი ხელყოფს ჩვენს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ჩვენ უნდა ვუნერგავდეთ ადამიანებს მაღალ იდეურ რწმენას, მაღალ მორალურ და ფიზიკურ თვისებებს, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ გავუძლოთ თანამედროვე ომით გამოწვეულ ყველაზე მკაცრ განსაცდელს, თუ მას თავს მოგვახვევენ.

სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა ჩვენში გახდა კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხისა და სსრ შეიარაღებული ძალების სახელოვანი რევოლუციური და საბრძოლო ტრადიციების პროპაგანდა. პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან შექმნილია სამხედრო-პატრიოტული პროპაგანდის ჯგუფები, რომელთა შემადგენლობაში შედიან თადარიგის გენერლები და ოფიცრები, კვალიფიციური პროპაგანდისტები, ლექტორები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

სამხედრო-პატრიოტული მუშაობა წარმოებს მრავალრიცხოვან მუზეუმებში, საბრძოლო დიდების ოთახებსა და კუთხეებში, რომლებიც შექმნილია უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში, რესპუბლიკის საწარმოებში. მარტო თბილისში 16 ასეთი მუზეუმი და 358 ოთახი გვაქვს. იქ შეკრებილია დოკუმენტები, ფოტოსურათები, რელიკვიები, ომის გმირთა წერილები. მუზეუმების საზოგადოებრივი საბჭოები აწყობენ თემატურ საღამოებს, რევოლუციისა და ომის ვეტერანებთან, პარტიზანული მოძრაობის მონაწილეებთან შეხვედრებს.

ჩვენს ქალაქებში განლაგებულ სამხედრო ნაწილებში დიდ ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწევიან ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები. ამ მუშაობაში მონაწილეობენ მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები. ისინი აცნობენ მეომრებს საქართველოს სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას, მის წარსულსა და აწმყოს, მისი შემდგომი ეკონომიური და კულტურული განვითარების გეგმებს. გასულ წელს მარტო რესპუბლიკის დედაქალაქში მეომრებისა და წვევამდელი ასაკის ახალგაზრდობისათვის წაკითხულია ექვსი ათასზე მეტი ლექცია და მოხსენება. თეატრალურმა და საკონცერტო კოლექტივებმა მათთვის გამართეს ათას ხუთასზე მეტი სპექტაკლი და კონცერტი. მოეწყო ბევრი შემოქმედებითი საღამო, შეხვედრები, სპორტული დღესასწაულები და განხორციელდა სხვა მასობრივი ღონისძიებანი.

ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას აქტიურად ეწევიან რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები. ისინი აფართოებენ საშეფო კავშირს სამხედრო ქვეგანაყოფებთან, დიდ ყურადღებას უთმობენ სპორტის ტექნიკური სახეების განვითარებას, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს არმიაში საჭირო სპეციალობათა შეძენისათვის, აფორმებენ ვიტრინებსა და სტენდებს სამხედრო სამსახურში წასულ კომკავშირელთა — საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანთა ფოტოსურათებით, დახმარებას უწევენ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს.

ახალგაზრდობაში ფართო პოპულარობა მოიპოვა გასაწვევის დღეებმა, სპორტის ტექნიკურ და სამხედრო-გამოყენებითს სახეებში პირადგუნდურმა შეჯიბრებებმა, გასამხედროებულმა თამაშებმა და ლაშქრობებმა, ექსკურსიებმა სამხედრო ნაწილებში. ბევრ საინტერესო ღონისძიებას ახორციელებენ კომკავშირელებისა და პიონერებისათვის შეფი მეომრები. მათ შორის აღსანიშნავია მასობრივი გასამხედროებული თამაში „დაფიონი“, რომელიც მოსწავლეებთან მოაწყეს იმ ქვეგანაყოფის მეომრებმა, სადაც პოლიტმუშაკია პოდპოლკოვნიკი ნ. ტიშკინი.

ჩვენთან ხშირად ეწყობა ერთობლივი სპორტული შეჯიბრებანი, მხატვრული თვითმოქმედების კონცერტები. ამ შეჯიბრებებსა და კონცერტებზე მეომრები ხვდებიან მუშა და სოფლის ახალგაზრდობას. აქ ჩვენი ახალგაზრდობა ეცნობა არმიის ცხოვრებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფთან შეიქმნა სამხედრო-პატრიოტული პროპაგანდის სექცია. ამ ჯგუფის წევრები არა მარტო ლექციებს კითხულობენ, არამედ საზოგადოება „ცოდნის“ სამხედრო-მეთოდური საბჭოს, რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს სამხედრო-საშეფო კომისიების, პროფკავშირთა საბჭოს საქმიანობის კოორდინაციასაც ეწევიან. ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციით ასეთივე სექციები და ჯგუფები შექმნილია საქართველოს კპ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებთან, აგრეთვე პარტიის ბევრ საქალაქო და რაიონულ კომიტეტთან.

საყოველთაო-სამხედრო მოვალეობის შესახებ ახალი კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს სპეციალური დადგენილება, რომელიც გვავალებს გავაჩაღოთ მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა, გავაძლიეროთ ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდა. დასახულია ზოგიერთი ეკონომიური და ორგანიზაციული ღონისძიება. კერძოდ, განათლების სამინისტრომ კოლეგიის სხდომაზე განიხილა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დაწყებითი სამხედრო განათლების შემოღების საკითხი. ახალი სასწავლო წლის პირველი დღეებიდან სამხედრო მეცადინეობა დაიწყება 75 სკოლის მე-9—10 კლასებში. ეს დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ღონისძიება ყველგან რომ განვახორციელოთ, საჭიროა შევიძინოთ ერთგვარი გამოცდილება, შევქმნათ შესაბამისი სასწავლო ბაზა, შევარჩიოთ მასწავლებელთა კადრები. აქ საჭირო გახდება ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდლობის, პოლიტორგანოებისა და პარტიული ორგანიზაციების მაქსიმალური ხელშეწყობა. იმ ამოცანების წარმატებით განხორციელება, რომლებიც დაგვისახა ახალმა კანონმა საყოველთაო-სამხედრო მოვალეობის შესახებ, ხელს შეუწყობს ხალხთან ჩვენი არმიის ურღვევი ერთიანობის შემდგომ განმტკიცებას.

„კრასნაია ზვეზდა“, 1 თებერვალი.

## საბრძოლო დიდების უკვდავსაყოფად

ქალაქ ფოთში გაიშალა მზადება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 50 წლისთავისათვის. პარტიის საქალაქო კომიტეტისა და საზოგადოება „ცოდნის“ საქალაქო განყოფილების ლექტორ-მომხსენებელთა ძალებით საწარმოებსა და დაწესებულებებში იკითხება ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი ლექციები და მოხსენებები. პოლიტგანათლების კაბინეტებში, კლუბებსა და ბიბლიოთეკებში მოეწყო თემატური გამოფენები, ეწყობა შეხვედრები სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან, საბჭოთა და უცხოელ მეზღვაურებთან.

საინტერესოდ ჩაიარა შეხვედრამ ნავსადგურში თადარიგის კონტრადმირალ მიხეილ ჯინჭარაძესთან, აგრეთვე თადარიგის ოფიცრებთან ი. კოგანთან, ა. ბოლქვაძესთან, ვ. დოლბაიასთან, რომლებმაც დამსწრეთ მოუთხრეს სამამულო ომში საბჭოთა მეომრების მამაცობასა და გმირობაზე.

ნავსადგურის კომკავშირის კომიტეტის ინიციატივით მოეწყო „საბრძოლო დიდების“ ოთახი, სადაც მრავალფეროვანი დოკუმენტები და თვალსაჩინო მასალებია გამოფენილი. ყურადღებას იპყრობს ჰიდრომელიორაციულ ტექნიკუმში მოწყობილი თემატური გამოფენა— „საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო გზა“. აქ წარმოდგენილი 600 ექსპონატი ასახავს საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების გმირულ ბრძოლას სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას, საბჭოთა ხალხების ურღვევ ძმობას და მეგობრობას, ქართველთა მონაწილეობას პირველ მსოფლიო ომში, სამოქალაქო ომსა და 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში.

ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია წვევამდელებთან მუშაობა. არმიაში გასაწვევი ახალგაზრდების წინაშე საინტერესო მოგონებებით გამოდიან სამამულო ომის ვეტერანები. მათ ფასიან საჩუქრებს გადასცემენ შესაბამისი საწარმოებისა და დაწესებულებების წარმომადგენლები.

კ. კომახიძე.

## ბედი მშვიდობის მტრებისა

მრავალ კილომეტრზე გაჭიმულა ეს კოლონა. ნელა, თავჩაქინდრულნი მიაბიჯებენ ისინი, ტყვედ დანებებული ჰიტლერელი ვაი-მეომრები.

ისინი ბევრნი არიან. სტალინგრადთან სასტიკად დამარცხებული ფაშისტი ჯარისკაცები და ოფიცრები ათასობით ნებდებოდნენ ტყვედ. მარტო გარშემორტყმული დაჯგუფების ლიკვიდაციის დროს ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 91 ათასზე მეტი კაცი, მათ შორის 2.500-ზე მეტი ოფიცერი და 24 გენერალი ფელდმარშალ პაულიუსის მეთაურობით.

ფოტო სამხედრო კორესპონდენტ ა. ეგორ.ოვისა.



ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲖᲔ

# მსჯელობენ მეშახტე კომუნისტები

ტრიბუნაზეა მორიგი ორატორი — მაღალი, ოდნავ შეჭაღარავებული კაცი. მის მკერდს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ნიშანი ამშვენებს. იგი ლაპარაკობს დინჯად, დაბეჯითებით, ნამდვილი მუშური ხმით. ამ ორატორს, ცნობილ ტყიბულელ მეშახტეს მამონტი ლანჩავას კონფერენციის ყველა დელეგატი იცნობს.

— შახტის კოლექტივმა, რომელიც ი. ბ. სტალინის სახელს ატარებს, — ამბობს იგი, — სასახელო შრომითი წარმატებები მოიპოვა საიუბილეო წელს. აქ გეგმის გადამეტებით ამოღებულია 58 ეშელონი ქვანახშირი. მიღწეული წარმატებებისათვის მეშახტეთა კოლექტივს გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშა. ამ წარმატებებში თვალსაჩინოა ჩვენი კომუნისტური შრომის ბრიგადის წვლილი. ბრიგადამ საიუბილეო წელს გეგმის გადამეტებით ამოიღო 14.917 ტონა საკოქსე ქვანახშირი. მაგრამ მიღწეული ზღვარი როდია. ბრიგადის წევრთა სახელით პირობას ვდებ ვამრავლოთ შრომითი საქმეები, ხუთწლედი შევასრულოთ ოთხ წელიწადში, მიმდინარე წელს გეგმის გადამეტებით ამოვიღოთ 35 ეშელონი ქვანახშირი.

ისეთი ადამიანები, როგორიც მ. ლანჩავაა, მრავლად არიან ტყიბულის შახტებში. ბევრი მათგანი იყო კონფერენციაზეც.

მეშახტეთა კულტურის სასახლის სხდომათა დარბაზი, სადაც ხუთასამდე კომუნისტს მოეყარა თავი, ყურადღებით უსმენდა პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის კ. ლომაძის საანგარიშო მოხსენებას, დელეგატების გამოსვლებს. ისინი საქმიანად ლაპარაკობდნენ მრეწველობის პურის — ქვანახშირის მრეწველობის მდგომარეობაზე, ხუთწლედის ახალმშენებლობებზე, განათლების, კულტურის წინსვლაზე, პარტიული მუშაობის მეთოდების სრულყოფაზე, მომავლის პერსპექტივებზე.

— ტყიბულელმა მეშახტეებმა, — თქვა მომხსენებელმა, — კარგად იმუშავეს საანგარიშო პერიოდში. მათ დიდი გადამეტებით შეასრულეს სათბობის მოპოვების დავალება. ტყიბულქვანახშირის ტრესტს ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება გეგმის გადამეტებით ამოეღო 10 ათასი ტონა ქვანახშირი. ფაქტიურად კი მოპოვებულ იქნა 32 ათასი ტონა სათბობი. თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით 6,6 პროცენტით გაიზარდა. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების შედეგად გაწეულია 87 ათასი მანეთის ეკონომია. ამ წარმატებებში თავიანთი წვლილი შეიტანეს ლენინის, სტალინისა და ორჯონიკიძის სახელობის შახტების კოლექტივებმა.

მიღწევები მოპოვებულია პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ამაღლებით, ყველა მეშახტის ბეჯითი შრომით, მიწისქვეშა ჰორიზონტებზე მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ახალი ტექნიკის, მუშაობის მოწინავე მეთოდებისა და ტექნოლოგიური პროცესების დანერგვით. ლენინისა და ორჯონიკიძის სახელობის შახტებში მტკიცედ დაინერგა სამთო გამონამუშევრების გაყვანა მექანიზებული და ცენტრალიზებული გამორეცხვის წესით. ამ მეთოდით უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გაყვანილ იქნა 7.184 გრძივი მეტრი სამთო გამონამუშევარი, რითაც გაწეულია 59 ათას მანეთზე მეტი ეკონომია. ლენინის სახელობის შახტის მექანიზატორებმა განახორციელეს ჰიდროვსების შედეგად დაგროვებული წყლის მიწისზევით ამოტუმბვის ავტომატიზაცია. შახტებში დაინერგა 241 რაციონალიზატორული წინადადება, რაც ყოველწლიურად 484 ათას მანეთ პირობით ეკონომიას იძლევა.

საანგარიშო პერიოდში შესანიშნავი შრომითი წარმატებები მოიპოვეს ელექტრომექანიკურმა სახელოსნომ, კურსების გრანიტის ქარხანამ, გელათის ტრანსფორმატორების ქარხანამ და ქალაქის სხვა საწარმოებმა.

მაგრამ მიღწევებზე რომ ლაპარაკობდნენ, კომუნისტები არ ივიწყებდნენ მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებსა და ჩრდილოვან მხარეებს.

შახტებსა და საექსპლოატაციო უბნებში ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი იერიშობანა. ყველა საექსპლოატაციო უბანი და ცვლა როდი ასრულებს სათბობის მოპოვების სახელმწიფო გეგმას. საანგარიშო პერიოდში ჩამორჩა 8 უბანი, რომლებმაც სახელმწიფოს დააკლეს 26 ათას ტონაზე მეტი სათბობი.

დიდად სამწუხაროა, რომ ლენინისა და სტალინის სახელობის შახტების კომუნისტები, შახტების ტექნიკური ხელმძღვანელობა ქმედითს ღონისძიებებს ვერ ახორციელებენ ქვანახშირის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ქვანახშირის ნაცრიანობისა და სინესტის სტანდარტის დარღვევისათვის საანგარიშო პერიოდში ამ შახტებს ჩამოეწერათ 12 ათასი ტონა ქვანახშირი და წუნდებული პროდუქციის გამოშვებისათვის გადახდათ 95 ათასი მანეთი ჯარიმა.

სიტყვას იღებს ტყიბულქვანახშირის ტრესტის მმართველი ნ. კვინიხიძე.

— ჩვენი ქალაქის საწარმო-დაწესებულებები, — ამბობს იგი, — უკვე გადავიდნენ ხუთდღიან სამუშაო კვირაზე, ტყიბულქვანახშირის ტრესტი და მისი შახტები კი ისევ ძველი რეჟიმით მუშაობენ. ამ საკითხზე მომხსენებელმა მკაცრად გაგვაკრიტიკა. საქმე ის არის, რომ რესპუბლიკის ყველაზე მძლავრ სამთო საწარმოს — ლენინის სახელობის შახტს არ გააჩნია სამუშაო ფრონტი, რის გამო მან შარშან ვერ შეასრულა ქვანახშირის მოპოვების დავალება საპროექტო სიმძლავრით. ამაში ყველაზე მეტი დანაშაული მიუძღვის ტყიბულშახტმშენის სამმართველოს. მაგრამ არც ტრესტია უცოდველი. ეს სამმართველო შეუწყნარებლად აჭიანურებს ახალი, მესამე მძლავრი ჰორიზონტის მომზადებას. თუ საქმე ახლო მომავალში ასე გაგრძელდა, შახტი გამოილებს თავისი ქვანახშირის მარაგის დიდ ნაწილს და მკვეთრად შეამცირებს საპროექტო სიმძლავრეს. შახტმშენებელი კომუნისტები ამ საკითხს სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდნენ.

კონფერენციის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს ახალი შახტების მშენებლობის გადაუდებელ პრობლემებზე. ხუთწლიანი გეგმა ტყიბულის ქვანახშირის საბადოში ორი ახალი შახტის მშენებლობას ითვალისწინებს. ესენია კომკავშირული და სტალინის სახელობის № 2 შახტები.

მომხსენებელმა და კამათში სიტყვით გამოსულმა ბევრმა კომუნისტმა განგაში ატეხეს ახალმშენებლობებზე არსებულ ნაკლოვანებათა გამო. მდგომარეობა მართლაც ფრიად საგანგაშოა, ამაღელვებელია. კომკავშირული შახტის მშენებლობა ათი წლის წინათ დაიწყო. ამ ხნის მანძილზე ათვისებულია სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მხოლოდ ნახევარი. თუ მუშაობა ამ ტემპით გაგრძელდა, საფრთხე შეექმნება ხუთწლედის დავალებათა შესრულებას. ახლოე სავალალო მდგომარეობაშია სტალინის სახელობის № 2 შახტის მშენებლობა. ახალ შახტს 7 წელია აშენებენ, მისი დამთავრება კი არ ჩანს.

მშენებელთა ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს შეეხო თავის გამოსვლაში ტყიბულშახტმშენის სამმართველოს უფროსი ი. ლომაია. მან მიიღო შახტმშენის სამმართველოს მისამართით კონფერენციაზე გამოთქმული შენიშვნები და თავის მხრივ დააყენა მშენებლობის დაჩქარების ზოგიერთი საკითხი.

ქალაქის მოსახლეობის კომუნალური მომსახურებისა და კეთილმოწყობის მტკივნეულ საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. გიორგობიანმა. მან აღნიშნა საავტომობილო გზების ცუდი მდგომარეობა. — ტყიბულ-ქუთაისის ერთადერთი შარაგზა, — თქვა მან, — უწესივრო მდგომარეობაშია. საჭიროა მისი რეკონსტრუქცია. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველო ამ საქმეს ყურადღებას არ აქცევს. საჭიროა ქალაქში შეიქმნას საგზაო-სამშენებლო უბანი.

ტყიბულის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სოფლის მეურნეობას. აქაური ჩაი განთქმულია თავისი მაღალი ხარისხით. საანგარიშო პერიოდში ტყიბულელმა მეჩაიეებმა გეგმის გადამეტებით მოკრიფეს და ჩაის ფაბრიკებს ჩააბარეს 2.682 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

კურსების კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ჭ. ელიაშვილმა, სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსმა ბ. ჭელიშვილმა და ორპირის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. გვეტაძემ თავიანთ გამოსვლებში ილაპარაკეს ჩაის, მეხილეობის მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის საკითხებზე. ჩაის ფოთლის მოსავლიანობის განუწყვეტელმა ზრდამ დღის წესრიგში დააყენა ქალაქში კიდევ ერთი ახალი ჩაის ფაბრიკის მშენებლობის საკითხი. დიდი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ხეხილის ბაღების მოსავლიანობის გასადიდებლად. საჭიროა აგრეთვე პროდუქტიული [illegible] მოსახლეობის მომარაგებას რძით.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე სახალხო კონტროლის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ხაბეიშვილმა, სტალინის სახელობის შახტის პარტიული კომიტეტის მდივანმა ტ. გაბრიჭიძემ, ლენინის სახელობის შახტის უფროსმა ა. ბასილაძემ, ორჯონიკიძის სახელობის შახტის პარტბიუროს მდივანმა ნ. კბილაძემ, კომკავშირის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ზ. შარვაძემ და განათლების განყოფილების გამგემ მ. გვენეტაძემ. მათ ილაპარაკეს შინაპარტიული მუშაობისა და მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საკითხებზე.

საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ საქმიანი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი გ. ვაშაკიძე.

კონფერენციამ საანგარიშო პერიოდში პარტიის საქალაქო კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა, მიიღო სათანადო დადგენილება, აირჩია პარტიის საქალაქო კომიტეტისა და მისი სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

# მთავარი გარანტია

## ა. დუბჩეკის გამოსვლა

პრაღა, 2 თებერვალი. (საკდესი). მსოფლიო სოციალისტური სისტემის, მისი ერთობისა და შეკავშირების შემდგომი განმტკიცება ჩვენ კვლავაც მიგვაჩნია ჩვენს უმაღლეს ინტერნაციონალურ მოვალეობად და ჩვენი საგარეოპოლიტიკური საქმიანობის პირველი რიგის ამოცანად, განაცხადა დღეს ჩეხოსლოვაკიის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ყრილობაზე ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. დუბჩეკმა.

ამიტომ ყოველ ღონეს ვიხმართ, განაგრძო მან, რათა შევიტანოთ ჩვენი წვლილი კომუნისტური და მუშათა პარტიების ბუდაპეშტის მომავალი საკონსულტაციო შეხვედრის წარმატებით მუშაობაში, შეხვედრისა, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მსოფლიო თათბირის მოწვევის საკითხი.

ეს ჩვენი პოლიტიკა, ხაზი გაუსვა ა. დუბჩეკმა, ნაკარნახევია ჩვენი ხალხისა და სოციალისტური სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებით და იმ რთული საერთაშორისო მდგომარეობის რეალური შეფასებით, როცა მუდამ უნდა გვახსოვდეს იმპერიალისტური ძალების ფრიად ინტენსიური მისწრაფება უკუღმა შეატრიალონ ან თუნდაც შეაჩერონ რევოლუციური პროცესი მსოფლიოში. გამანადგურებელი ომი ვიეტნამში და ახლო აღმოსავლეთის ამბები ამის ყველაზე სერიოზული დადასტურებაა.

ჩვენი ქვეყნის უშიშროებისათვის, ისევე როგორც სხვა სოციალისტური ქვეყნების უშიშროებისათვის, უპირველესი მნიშვნელობა აქვს ვარშავის ხელშეკრულებას, რომლის განმტკიცება კაპიტალისტური ქვეყნების სამხედრო პაქტების არსებობის პირობებში სოციალისტური ქვეყნების საერთო ამოცანაა, თქვა ა. დუბჩეკმა. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების სულისკვეთებით ჩვენ შეძლებისდაგვარ ყოველმხრივ დახმარებას და მხარდაჭერას გავუწევთ ვიეტნამელი ხალხის სამართლიან ბრძოლასა და რევოლუციურ, დემოკრატიულ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს, რომლებიც აქტიურად გამოდიან იმპერიალისტური ექსპანსიის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ.

ა. დუბჩეკმა განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკია განაგრძობს ინტენსიურ ღონისძიებებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის. ჩვენ აქტიურად დავუჭერთ მხარს ევროპის უშიშროების ეფექტიანი სისტემის შექმნის ყველა ღონისძიებას, თქვა მან. ჩვენ არ შევწყვეტთ ბრძოლას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ნეონაციზმის აღორძინების წინააღმდეგ, დასავლეთგერმანული რეაქციის საშიშ მისწრაფებათა წინააღმდეგ, რომ განახორციელონ რევანშისტული პრეტენზიები მეზობლების მიმართ, მოსპონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც პირველი მშვიდობისმოყვარე პროგრესული სახელმწიფოა გერმანიის ტერიტორიაზე. ვინც ამგვარ გეგმებს ისახავს, საჭიროა იცოდეს, რომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან ერთად მტკიცედ და ურყევად დგას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხარდამხარ.

ჩვენ საზღვარგარეთ გვყავს ბევრი მეგობარი, ხოლო სოციალისტური ქვეყნების სახით — სამედო მოკავშირეები, განაგრძო ა. დუბჩეკმა. ჩვენი ქვეყნის უშიშროებისა და დამოუკიდებლობის მთავარი გარანტიაა ჩვენი ურღვევი ძმობა და მტკიცე ერთობა საბჭოთა კავშირთან და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან. სსრ კავშირთან ძმური კავშირი ჩვენთვის აგრეთვე ყველაზე საიმედო საერთაშორისო დასაყრდენია ჩვენი ქვეყნის წარმატებითი სოციალისტური განვითარების გზაზე. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ილაპარაკა თავის მეგობრულ ვიზიტზე საბჭოთა კავშირში და ყრილობის მონაწილეებსა და მთელ ჩეხოსლოვაკიის ხალხს გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გულითადი სალამი.

შემდეგ ა. დუბჩეკი შეეხო ქვეყნის საშინაო პრობლემებს. ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ხაზი გაუსვა მან დასასრულ, თავისი პროგრესულობით სავსებით ერთიანია, და მისი არსი იყო და კვლავ არის ბრძოლა ადამიანთა განთავისუფლებისათვის ყოველგვარი ჩაგვრისაგან, ბრძოლა იმ ძალების შეკავშირებისათვის, რომლებიც ადამიანის თავისუფლებას იცავენ. მისი არსია მარქსიზმ-ლენინიზმი, პროლეტარული და სოციალისტური ინტერნაციონალიზმი.

## ბროშურად გამოვიდა ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება

კანბერა, 1 თებერვალი. (საკდესი). ავსტრალიაში ბროშურად გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „სოციალიზმის დიად გამარჯვებათა ორმოცდაათი წელი", რომელიც გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების ერთობლივ საზეიმო სხდომაზე.

ბროშურა ინგლისურ ენაზე გამოუშვა ავსტრალიის გამომცემლობა „კვოლიტი პრეს პროპრაიტერი ლიმიტედმა".

## სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კომპარტიის თანხმობა

ლონდონი, 2 თებერვალი. (საკდესი). სამხრეთ აფრიკის კომუნისტური პარტია დათანხმდა მიწვევას მიიღოს მონაწილეობა კომუნისტური და მუშათა პარტიების ბუდაპეშტის საკონსულტაციო შეხვედრაში.

ამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია: „ამ ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ჩვენი პარტია მთელ რიგ შემთხვევებში მოითხოვდა ისეთი ნაბიჯის გადადგმას, რომ შეიქმნას და განმტკიცდეს კომუნისტური მოძრაობის ერთობა როგორც საჭირო ღონისძიება მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირებისა და გაერთიანებისათვის. ამიტომ გულთბილად მივესალმებით ამ ინიციატივას და ვთანხმდებით მიწვევას.

ჩვენი პარტია ყოველ ღონეს იხმარს, რომ უზრუნველყოს წარმატება მომავალი თათბირისა, რომელიც დიდმნიშვნელოვნად მიგვაჩნია აფრიკისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა ბრძოლისათვის იმპერიალიზმისა და ომის წინააღმდეგ, ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალიზმისათვის".

# საერთაშორისო ცხოვრება

## პრეს-კონფერენცია ჰანოიში

ჰანოი, 1 თებერვალი. (საკდესი). დღეს ჰანოიში სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის მუდმივმა წარმომადგენლობამ მოაწყო პრესკონფერენცია ვიეტნამელი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის, რომელზეც ინფორმაცია სამხრეთ ვიეტნამში მომხდარი ამბების შესახებ გააკეთა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ფრონტის მუდმივი წარმომადგენლობის მეთაურის მოადგილემ ნგუენ ფუ სოაიმ.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამხრეთ ვიეტნამის უკანასკნელი ამბები მოწმობენ, რომ განთავისუფლების სახალხო შეიარაღებულ ძალებს შეუძლიათ აწარმოონ წარმატებითი საბრძოლო ოპერაციები სამხრეთ ვიეტნამის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის დიდ ქალაქებში, პროვინციულ ცენტრებში, ამერიკის ჯარების სტრატეგიულ ბაზებში.

ნგუენ ფუ სოაიმ შემდეგ თქვა, რომ ამ ბოლო დღეებში შეიარაღებული ბრძოლის დროს გაიმართა სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის ფართო ფენებისა და ქვეყნის სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციის პოლიტიკური გამოსვლები.

## გაცხარებული ბრძოლები სამხრეთ ვიეტნამის ქალაქებში

ნიუ-იორკი, 1 თებერვალი. (საკდესი). განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალები დღეს განაგრძობდნენ შეტევით ოპერაციებს სამხრეთ ვიეტნამის ბევრ დიდ ქალაქში.

როგორც უცხოეთის დეპეშათა სააგენტოების საიგონელი კორესპონდენტები იუწყებიან, ქალაქში ვითარება კვლავ გამწვავდა. ქუჩის ბრძოლები მიმდინარეობს სამხრეთ ვიეტნამის დედაქალაქის ცხრა რაიონში. საიგონის ერთ-ერთ გარეუბანში — შოლონში პატრიოტებმა ააფეთქეს ელექტროსადგური. არ ცხრება სროლა ამერიკის ტანსონიატის უდიდეს სამხედრო-საჰაერო ბაზაში, რომელიც საიგონის მიდამოებშია განლაგებული.

როგორც ასოშეიტიდ პრესის სააგენტო იუწყება, ამერიკის სარდლობა სასწრაფოდ გზავნის საიგონსა და სხვა მთავარ ქალაქებში სატანკო ნაწილებს ქვეყნის სხვა რაიონებიდან. საიგონში, კერძოდ, გადაჰყავთ ამერიკის სამი დივიზიის ნაწილები.

225 კილომეტრზე საიგონის ჩრდილოაღმოსავლეთით სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა დაიკავეს ქალაქი დალატი. უფრო ჩრდილოეთით განთავისუფლების სახალხო შეიარაღებულმა ძალებმა მასირებული იერიშები მიიტანეს ბანმეთხუოტსა და კონტუმზე — ცენტრალური პლატოს ორი პროვინციის ცენტრალურ ქალაქებზე. კონტუმში პარტიზანებმა სრულიად გამოიყვანეს მწყობრიდან ამერიკელთა აეროდრომი. ქალაქში შეწყდა ელექტროენერგიის მიწოდება. ნალმსატყორცნებიდან ცეცხლი დაუშინეს ამერიკის სამხედრო ყაზარმებს და „სპეციალური" ჯარების ბანაკს.

მეორე პროვინციულ ცენტრში — ქალაქ ნიაჩანგში ცეცხლი დაუშინეს ამერიკის საველე არტილერიის შტაბს, ავიაბაზას და „სპეციალური" ჯარების შტაბს. პატრიოტები კვლავ კონტროლს უწევენ ვიეტნამის უძველეს დედაქალაქ — გუეს.

ლონდონი, 1 თებერვალი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს საიგონელი კორესპონდენტი იუწყება, მარიონეტულმა ხელისუფლებმა დღეიდან მკაცრი ცენზურა დაუწესეს პრესას.

## შეწყდა კავშირი საიგონთან

სინგაპური, 2 თებერვალი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამში მომხდარი ამბების ექომ, სადაც პატრიოტებმა მთელი რიგი დარტყმები მიაყენეს ამერიკელ აგრესორებსა და მათს მარიონეტებს, სინგაპურამდე მოაღწია. გუშინ სავსებით შეწყდა კავშირი სინგაპურსა და ბრძოლებით მოცულ საიგონს შორის, დაირღვა აგრეთვე ტელეფონის კავშირი ჰონკონგთან.

## გააუქმეს შვებულებები

პარიზი, 2 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის სამხედრო სარდლობამ, რომელიც შეაშფოთა ამ ბოლო დღეების დამარცხებებმა სამხრეთ ვიეტნამში, შვებულებები გაუუქმა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში იმყოფებიან. ამას გვატყობინებს ფრანს პრესის სააგენტოს ბანგკოკელი კორესპონდენტი.

ამერიკელ ჯარისკაცებს, რომლებიც ბანგკოკში დასასვენებლად ჩამოვიდნენ სამხრეთ ვიეტნამიდან, სასწრაფოდ უკან გზავნიან თვითმფრინავებით. ამერიკის შეერთებული შტატების ტაილანდის ყველა ბაზაში საგანგაშო მდგომარეობა გამოაცხადეს.





სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტებმა განახორციელეს შეტევითი ოპერაციები ამერიკისა და საიგონის ჯარების გარნიზონების წინააღმდეგ მთელ რიგ დიდ ქალაქებსა და სამხედრო ბაზებში. პარტიზანებს 6 საათის განმავლობაში ეკავათ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო. მარცხენა სურათზე — საელჩოს შენობა (ცენტრში). ისრით ნაჩვენებია ბაქანი, სადაც ვერტმფრინავებიდან გადმოსხდა ამერიკელთა ჯარების დესანტი. მარცხნივ ისრით ნაჩვენებია ის ადგილი, სადაც პატრიოტებმა შეაღწიეს შენობასთან. მარჯვნივ ზემოთ პუნქტია, სადაც აფეთქდა პარტიზანთა რაკეტა. ისარი მარჯვნივ ქვემოთ უჩვენებს ადგილს, სადაც მოთავსებულია ამერიკის სამხედრო პოლიცია. მარჯვენა სურათზე — ამერიკელი ჯარისკაცები გაურბიან პარტიზანთა მარჯვე ცეცხლს საიგონში ბრძოლის დროს ამერიკის საელჩოსთან.

ტელეფოტო აპ-საკდესისა.

## ჯილდოები—საბჭოთა და არაბ სპეციალისტებს

კაირო, 1 თებერვალი. (საკდესი). ასუანის ჰიდროენერგეტიკული კომპლექსის შექმნის მეორე სტადიის სამუშაოთა დამთავრებისა და ჰიდროელექტროსადგურის პირველი აგრეგატების ოფიციალური ამუშავების გამო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა დღეს დააჯილდოვა საბჭოთა და არაბი სპეციალისტები.

დაჯილდოებულთა შორის არის 120 საბჭოთა სპეციალისტი, რომლებიც მუშაობენ ასუანის მაღლივი კაშხალის, ასუანსა და ქვემო ეგვიპტეს შორის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობაზე, საბჭოთა მოწყობილობის მიმწოდებელ ქარხნებში, აგრეთვე ასუანის ჰიდროენერგეტიკული კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებული სსრ კავშირის მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები.

## სოლიდარობა ვიეტნამელ ხალხთან

საფრანგეთი. 1 მილიონ 300 ათასი ფრანკი მოაგროვეს ფრანგმა კომუნისტებმა ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობის ფონდში ეროვნული კომპანიის დროს — „ხომალდი — ვიეტნამს!". ეს ათასობით მსმენელის ტაშის გრიალში განაცხადა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ვ. როშემ პარიზში გამართულ მიტინგზე.

ოთხი ათასი ხელმოწერა უკვე შეაგროვეს ვიეტნამის დაცვის მოწოდებაზე, რომლითაც გასული წლის დეკემბრის დამდეგს მიმართეს საფრანგეთის ინტელიგენციას კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეებმა.

ამერიკის შეერთებული შტატები. უორრენტონში (ვირჯინიის შტატი) გაიმართა კონფერენცია „სტრატეგიის დაგეგმვა მშვიდობის დამყარებისათვის". კონფერენციის მონაწილეებმა მოითხოვეს, რომ შეწყდეს ვიეტნამის ომის ესკალაცია. კონფერენციის მონაწილეებმა მოუწოდეს შეერთებული შტატების მთავრობას „სერიოზულად განიხილოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვის შეწყვეტის საკითხი", რათა ხელსაყრელი პირობები შექმნას მოლაპარაკებისათვის.

600-მდე ამერიკელმა მწერალმა და რედაქტორმა განაცხადა, რომ არ გადაიხდიან საშემოსავლო გადასახადის 10-პროცენტიან წანამატს, რომლის შემოღებასაც მოითხოვს მთავრობა, რათა გამოძებნოს დამატებითი სახსრები ვიეტნამის ომის დასაფინანსებლად.

ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციით შეხვდნენ ვიცე-პრეზიდენტს ჰუბერტ ჰემფრისა და კონგრესმენებს, რომლებიც ამ დღეებში ვაშინგტონში ჩავიდნენ „ფორდის თეატრის" გახსნაზე, რომელიც 103 წელი დაკეტილი იყო. „ჩვენ არ წავალთ ვიეტნამში საომრად!", „შეწყვიტეთ ვიეტნამის ომი!" — ერთხმად გაიძახოდნენ დემონსტრანტები თეატრის შესასვლელთან, სადაც ასი წლის წინათ თავს დაესხნენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს აბრამ ლინკოლნს.

(საკდესი).

## პარტიული ბილეთების გამოცვლა

რომი, 2 თებერვალი. (საკდესი). იტალიის კომპარტიაში მეტად აქტიურად მიმდინარეობს პარტიული ბილეთების გამოცვლის ყოველწლიური კამპანია. მიმდინარე წლის 25 იანვრისათვის, იუწყება გაზეთი „უნიტა", ახალი პარტიული ბილეთები უკვე მიიღო იტალიის კომპარტიის თითქმის 1280 ათასმა წევრმა. პარტიაში, წერს გაზეთი, შევიდა 50 ათასზე მეტი ახალი წევრი.

## დიპლომატიური ურთიერთობა აღდგენილია

ბელგრადი, (საკდესი). მიმდინარე წლის 23-29 იანვარს იუგოსლავიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლები პარიზში აწარმოებდნენ მოლაპარაკებას დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ.

როგორც ტანიუგის სააგენტო გვატყობინებს, საკავშირო აღმასრულებელმა ვეჩემ მოისმინა ანგარიში მოლაპარაკების შედეგების შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება 1968 წლის 31 იანვრიდან აღადგინოს დიპლომატიური ურთიერთობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან და გამოაქვეყნოს ერთობლივი განცხადება ამის გამო.

უახლოეს დროში ორივე მთავრობა გახსნის დიპლომატიურ წარმომადგენლობებს საელჩოთა რანგით და გაცვლის ელჩებს.

## უ ტანის მოხსენება

ნიუ-იორკი, 2 თებერვალი. (საკდესი). ისრაელი ხელს უშლის არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სამუშაოებს სუეცის არხის ჩრდილოეთ ნაწილის გასაწმენდად, ნათქვამია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის უ ტანის მოხსენებაში უშიშროების საბჭოსადმი, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა. უ ტანი აღნიშნავს, რომ 30 იანვარს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის გემებს, რომლებიც სანავიგაციო სამუშაოებს აწარმოებდნენ სუეცის არხის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც გასული წლის ივნისიდან დღემდე დარჩენილია 15 გემი, ცეცხლი დაუშინა ისრაელის მხარემ. ამის შედეგად, ნათქვამია მოხსენებაში, არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ სრულიად შეწყვიტა ნაოსნობისათვის არხის ყაწმენდის სამუშაოები.

## ჰარისონის განცხადება

ნიუ-იორკი, 2 თებერვალი. (საკდესი). ახალი ორლეანის საოლქო პროკურორმა ჯიმ ჰარისონმა განაცხადა, რომ ფედერალურმა ხელისუფლებმა პრეზიდენტ ჯონ კენედის მკვლელობის გამოძიების დროს შეადგინეს ყოველ შემთხვევაში ერთი მოწმის ყალბი ჩვენება.

ჰარისონმა, რომელიც გამოვიდა ტელევიზიით, თქვა, რომ დალასის მკვლელობის მოწმის ჯულია ენ მერსერის ალიარებით, ჩვენებანი, რომლებიც მოყვანილია უორენის კომისიის მოხსენებაში და რომლებსაც იგი ხელს აწერს, სინამდვილეში ყალბია. მერსერმა, თქვა ჰარისონმა, უორენის კომისიას აცნობა, რომ კენედის მოკვლამდე ერთი საათით ადრე უნახავს შაშხანიანი რუბი დანაშაულის ადგილას. ჯეკ რუბიმ შემდეგში საპატიმროში ტყვიით მოკლა ლი ჰარვი ოსვალდი, რომელიც ოფიციალურად ამერიკის შეერთებულ შტატებში აღიარებულია კენედის მკვლელად. ვარიანტში, რომელიც უორენის კომისიამ წარმოადგინა, ნათქვამია, რომ, მერსერს უნახავს შაშხანიანი კაცი, მაგრამ ვერ უცვნია.

ჰარისონი უარყოფს უორენის კომისიის დასკვნას, ლი ჰარვი ოსვალდი იყო კენედის მკვლელი, რომელიც მარტოდმარტო მოქმედებდაო. ტელევიზიით გამოსვლაში მან თქვა, რომ ოსვალდი ერია შეთქმულებაში, რომელიც მოეწყო გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტების მონაწილეობით პრეზიდენტის მოკვლის მიზნით, მაგრამ „თვითონ არ უსვრია" შაშხანა კენედისათვის.

## დანიის ახალი მთავრობა

კოპენჰაგენი, 2 თებერვალი. (საკდესი). აქ გამოაცხადეს ახალი შემადგენლობა დანიის მთავრობისა, რომელიც შეიქმნა ბურჟუაზიული პარტიების — კონსერვატიული, ვენსტრესა და მემარცხენე რადიკალური პარტიების წარმომადგენლებისაგან. მთავრობის პრემიერ-მინისტრი გახდა ჰილმარ ბაუნსგორდი, საგარეო საქმეთა მინისტრი — პოულ ჰარტლინგი, ფინანსთა მინისტრი — პოულ მელერი, ეკონომიკის მინისტრი — პ. ნ. ანდერსენი, თავდაცვის მინისტრი — ერიკ ნინ-ჰანსენი.

სულ ახალ მთავრობაში 17 მინისტრია.

## ბერძენ პატრიოტებს აწამებენ

ლონდონი. (საკდესი). ბერძენი პოლიტიკური პატიმრების წამების ახალი ფაქტები აღნიშნა საერთაშორისო ორგანიზაცია „ამნისტიამ" თავის მოხსენებაში, რომელიც შეადგინეს იურისტებმა ენტონი მაროლდმა (ინგლისი) და ჯეიმს ბეკეტმა (ამერიკის შეერთებული შტატები). მოხსენების შინაარსი დღეს დაბეჭდა გაზეთმა „გარდიანმა". მოხსენებაში მოყვანილია 16 კაცის, მათ შორის თვით დაზარალებულების, მათი ნათესავებისა და მოწმეების სარწმუნო მტკიცებულობანი და მოწმეთა ზეპირი ჩვენებანი. გარდა ამისა, მოხსენებაში დასახელებულია კიდევ 32 კაცი, რომლებსაც ამჟამად აწამებენ საპყრობილეებში.

ათენში პატიმრებს აწამებენ ასფალიის (უშიშროების სამსახურის) შენობაში ბუბულინასის ქუჩაზე, № 401 სამხედრო ჰოსპიტალსა და დიონისოს საკონცენტრაციო ბანაკში, რომელიც ათენიდან 12 კილომეტრზე მდებარეობს.

მოხსენების დასასრულს ნათქვამია, რომ ახლა საბერძნეთის საიდუმლო პოლიცია მოქმედებს შეუზღუდველად. აქ მისმა შეფმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა პატაკოსმა განაცხადა, „კანონებს სძინავსო". ასფალიელი ჯალათები განსაკუთრებით მხეცურად აწამებენ ახალგაზრდებს და იმათ, ვინც მემარცხენეებად მიაჩნიათ.

## კატასტროფის შემდეგ

კოპენჰაგენი, (საკდესი). გრენლანდიის სამოქალაქო ხელისუფალნი ახორციელებენ ღონისძიებებს ტულეს რაიონის მცხოვრებთა რადიოაქტიური მოწამვლის საფრთხესთან დაკავშირებით. გაზეთი „აქტუელტი" წერს, რომ აქაურ სელაპზე მონადირეებსა და მებადურებს აუკრძალეს ნადირობა ამერიკის ბომბდამშენის „ბ-52"-ის კატასტროფის ადგილის მახლობლად.

## ტოკიოს მოსახლეობა

ტოკიო, 2 თებერვალი. (საკდესი). 11.200.717 კაცი ცხოვრობდა ტოკიოში 1968 წლის 1 იანვარს, თანახმად ტოკიოს მუნიციპალიტეტის სტატისტიკური ბიუროს მონაცემებისა, რომლებიც დღეს აქ გამოქვეყნდა. ტოკიოს მოსახლეობის ბუნებრივი მატება 1967 წლის 1 დეკემბერთან შედარებით შეადგენს 11.795 კაცს. ცნობაში აღნიშნულია, რომ 700 ათასმა კაცმა დატოვა ტოკიო 1967 წელს ამ ქალაქში ცხოვრების ღირებულების მკვეთრი გადიდების გამო.

# მუშაობა განაახლა 24 ქვეყნის კომიტეტმა

ნიუ-იორკი, 2 თებერვალი. (საკდესი). გუშინ აქ მუშაობა განაახლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის განმახორციელებელმა სპეციალურმა კომიტეტმა (24 ქვეყნის კომიტეტი).

კომიტეტის სხდომა გახსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა. კოლონიური ხალხების განთავისუფლების პროცესს, განაცხადა უ ტანმა, დღემდე არა აქვს ისეთი გაქანება, როგორიც სურს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობას. ამის მიზეზი ის არის, რომ ზოგიერთი კოლონიური სახელმწიფო ან აჭიანურებს კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის შესრულებას, ან არ სურს ბოლომდე ითანამშრომლოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან კოლონიალიზმის პრობლემების ეფექტიანი გადაჭრის საქმეში.

ყველაზე მწვავე და საშიში მდგომარეობა, განაცხადა უ ტანმა, კვლავ აფრიკის სამხრეთშია, სადაც არღვევენ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს.

ამ კონტინენტის სხვა ნაწილში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებას კოლონიურ ბატონობაში მყოფი ხალხების განთავისუფლების შესახებ არ ასრულებს პორტუგალია. ჯიუტად ახორციელებს რასისტულ პოლიტიკას სამხრეთ როდეზიის რეჟიმი. პასუხისმგებლობა როდეზიის პრობლემის გადაჭრისათვის ძირითადად ინგლისს ეკისრება, აღნიშნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა პ. ფ. შახოვმა ხაზგასმით აღნიშნა დიდმნიშვნელოვანი როლი, რომელსაც 24 ქვეყნის კომიტეტი ასრულებს კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, რომელთა მიზანია კოლონიური რეჟიმების რაც შეიძლება სწრაფი ლიკვიდაცია.

კომიტეტმა ერთსულოვნად აირჩია ახალი თავმჯდომარე — ტუნისის წარმომადგენელი ა. მესტირი.

# ჩვენს ქალ-ქალაქში

[illegible] „კომუნისტისა“ და საქდესის კორესპონდენტები

## ბედნიერი ბილეთები

თელავი. (საქ. კორ.). [illegible] ნომრის № 86 ობლიგაციებით 500-500 მანეთი მოიგეს.

გეგეჭკორი. (საქ. კორ.). გეგეჭკორელმა ვ. ხაჟომიამ გეგეჭკორის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა ავტომოტოლატარიის ბილეთი 174 თანრიგის № 148128, რომელსაც მოგებად ხვდა მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი 408“.

ავტომოტოლატარიის ბილეთით დ. ჩხეტიამ მოიგო მოტოციკლი „ვიატკა-2“, ნაჯახაოელმა რ. სარჩიმელიამ — მოტოველოსიპედი.

◆

## ფილიალი ახალ შენობაში

ბათუმი. (საქ. კორ.). ახლახან აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბათუმის ფილიალისათვის გაწყობილი შენობა.

ფილიალში 700-მდე დაუსწრებელი სტუდენტი სწავლობს. აქამდე მეცადინეობა სწარმოებდა სხვადასხვა ინსტიტუტების აუდიტორია-ლაბორატორიებში.

## ჟასმინი ცხაკაიაში

ცხაკაიას რაიონული ცენტრიდან 17 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ხორშის ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობა. აქ სხვა მცენარეებთან ერთად ხარობს ძვირფასი კულტურა მსხვილყვავილოვანი ჟასმინი.

1950 წელს საფრანგეთიდან საბჭოთა კავშირში შემოიტანეს რამდენიმე ათეული ცალი ჟასმინის კალამი და საცდელად დარგეს მოლდავეთში, ყირიმში, შუა აზიასა და საქართველოში, კერძოდ კი ხორშის ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობაში.

ამ იშვიათმა მცენარემ ვერსად ვერ გაიხარა, გარდა ხორშის საბჭოთა მეურნეობისა. მეურნეობაში ჟასმინის პლანტაციებს ამჟამად 25 ჰექტარი უჭირავს, აქედან 12 ჰექტარი სრულმოსავლიანია. მიმდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია პლანტაციების კიდევ უფრო გადიდება.

ჟასმინის ზეთს ხმარობენ უმაღლესი ხარისხის სასმელების, საპარფიუმერიო ნაწარმის და მაღალი ხარისხის კვების პროდუქტების დასამზადებლად.

ათი წლის წინათ ჟასმინის ყვავილის გადამუშავება პრიმიტიული წესით ხდებოდა, რის შედეგად ერთი ტონა ყვავილიდან იღებდნენ 1,2—1,5 კილოგრამ ზეთს. რამდენიმე წლის წინათ მეურნეობაში გაშენებულ იქნა დინამიური სორბციის საამქრო, რომელმაც ორჯერ და უფრო მეტად გაზარდა ზეთის გამოსავლიანობა.

ამჟამად მიმდინარეობს ჟასმინის პლანტაციების გამობარვა, გასხვლა, მინერალური სასუქების შეტანა. ამ ძვირფას კულტურას სანიმუშოდ უვლიან ლ. გვასალიას ბრიგადის წევრები.

ს. კუჭავა.



კარგი საჩუქარი მიიღეს მაიაკოვსკის რაიონული ცენტრისა და ახლომდებარე სოფლების მშრომელებმა — საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ორსართულიანი უნივერსალური მაღაზია.

სურათზე: ახალი უნივერსალური მაღაზიის შენობა მაიაკოვსკში. (საქდესის ფოტოქრონიკა).

## ხელოვნების ქრონიკა

[illegible] „[illegible] ჩამ დაიგვიანა“ და კ. მეძველიას პიესა „შეხვედრა წარსულთან“. დამ-[illegible]

● ხულოში სტუმრად იყო ახალციხის კულტურის სახლის აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელმაც კონცერტები გამართა ღორჯომში, ხიხაძირში, დიდაჭარაში, დიოკნისში, ოქტომბერსა და რაიონის კულტურის სახლში.

რ. თავართქილაძე.

### შემთხვევა

◆

## საავადმყოფო დანვას გადაარჩინეს

ახმეტა. ცეცხლი მოულოდნელად გაუჩნდა ქვემო ალვანის საავადმყოფოს. ხანძარი პირველ სართულზე არსებული ღუმელიდან შუა კედელს შიგნით ტიხრებს მოსდებოდა. კვამლის სუნი მოედო მთელ საავადმყოფოს. ეს პირველად ავადმყოფებმა იგრძნეს და სასწრაფოდ აცნობეს მორიგე ექიმს, მან კი ახმეტის სახანძრო ნაწილს შეატყობინა.

მეხანძრეების მოსვლამდე ცეცხლს ვაჟკაცურად ეკვეთნენ ადგილობრივი მცხოვრებნი ც. ცისკარიშვილი, რ. აშაძე, კომკავშირლები თ. ბახტურიძე, შ. აშაძე, ე. კახოიძე და სხვები, რომლებმაც ცეცხლმქრობებით შეუტიეს ხანძარს. მალე მეხანძრეებიც მოვიდნენ.

ნამდვილი მამაცობა გამოიჩინეს მეხანძრეებმა ნ. ზაალიშვილმა, გ. ყალამაშვილმა, ა. ჯავახიშვილმა და ა. ჭილაშვილმა, რომლებმაც ალვანელი მშრომელების დახმარებით ცეცხლი მალე ჩააქრეს.

გ. ტერტერაშვილი.



## კვირეები წუთებმა შეცვალეს

ერთი შეხედვით მკითხველი ალბათ იფიქრებს, რომ ეს ფოტოსურათები გადაღებულია რომელიმე გამომთვლელ ცენტრში ან სამეცნიერო ინსტიტუტში. მაგრამ ეს ასე არ არის. ეს ფოტოსურათები გადაღებულია ქარხანაში.

ახლა ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში წარსულს ბარდება ის დრო, როცა ანგარიშწარმოების ყველა ოპერაციას ხელით, საანგარიშოებითა და არითმომეტრებით ასრულებდნენ.

ახლა ჩვენი ქარხნების მგეგმავები და ეკონომისტები აღჭურვილი არიან თანამედროვე ჩქაროსნული გამოთვლითი ტექნიკით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა რამდენიმე წუთში შესრულებულ იქნას ურთულესი და შრომატევადი გაანგარიშებანი, რასაც წინათ ანგარიშსწორების მუშაკები დღეებსა და კვირებს ანდომებდნენ.

ჩვენს სურათზე თქვენ ხედავთ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის საანგარიშო-გამომთვლელი სადგურის საანალიზო განყოფილებას. აქ თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის დახმარებით წარმოებს ყველა რთული გაანგარიშება შრომისა და ხელფასის დარგში.

სურათზე მარცხნივ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტი იამზე სამანიშვილი. ქარხნის საანგარიშო სადგურში იგი გადის სადიპლომო პრაქტიკას თემაზე: „მასალების აღრიცხვა „დე-1“ ელექტრული აპარატის დახმარებით“.

ფოტო და ტექსტი ს. კილაძისა.






## ტრადიციას არ უღალატეს

მოსკოვის ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდი სამართლიანად ითვლება ჩვენი ქვეყნის უძლიერეს კოლექტივად.

მოსკოველებს ტრადიცია არც ახალი წლის პირველ ასპარეზობაში — ჩოგბურთელთა ლენინგრადის ზამთრის ტურნირში დაურღვევიათ. გუნდური შეჯიბრების ფინალში დედაქალაქის ნაკრებს პაექრობა ჰქონდა ლენინგრადის გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 6:1. ვაჟთა ასპარეზობიდან გამოირჩეოდა მოსკოველი ვ. ეგოროვისა და ა. ივანოვის შეხვედრა, რომელიც სამ საათს გრძელდებოდა. წარმატება ვ. ეგოროვს ხვდა 12:10, 4:6, 10:8. ქალთა ერთეულების შეჯიბრების ფინალში ო. მოროზოვამ მოუგო ა. ერემეევას 4:6, 6:4, 6:1. ერთადერთი ქულა ლენინგრადელებს მოუტანა ვ. პალმანმა. მან მოუგო ვ. კოროტკოვს 6:3, 6:4. დედაქალაქის გუნდს გამარჯვების ქულები მოუტანეს რ. ისლანოვამ, ა. ვოლკოვმა და ი. ხოხლოვმა.

### ნახევარფინალისტთა ტრიო

საბჭოთა ჩოგბურთელები წარმატებით გამოდიან კოპენჰაგენში ჩრდილოეთი ქვეყნების ღია ჩემპიონატზე.

სსრ კავშირის ჩემპიონმა ა. მეტრეველმა ზედიზედ მოიგო შეხვედრები და ნახევარფინალში გავიდა ვაჟთა ერთეულების ასპარეზობაში. ნახევარფინალში გავიდნენ აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ქალთა შორის კიეველი გ. ბაქშეევა და მოსკოველი ა. დმიტრიევა.

## ფეხბურთი — 1970. წილი უყარეს

კასაბლანკა, 2 თებერვალი. (საქდესი), სსრ კავშირის, ჩრდილოეთ ირლანდიის, თურქეთის ნაკრები გუნდები შევიდნენ მეოთხე ჯგუფში ფეხბურთელთა მე-9 მსოფლიო ჩემპიონატისა, რომელიც 1970 წელს გაიმართება მეხიკოში.

ასე გადაწყვიტა წილისყრამ, რაც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მოაწყო კასაბლანკაში.

აი ევროპის სხვა ჯგუფებიც: 1. პორტუგალია, შვეიცარია, რუმინეთი, საბერძნეთი, 2. უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, ირლანდია, დანია, 3. იტალია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, უელსი. 5. საფრანგეთი, შვეცია, ნორვეგია, 6. ესპანეთი, იუგოსლავია, ბელგია, ფინეთი. 7. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, შოტლანდია, ავსტრია, კვიპროსი. 8. ბულგარეთი, ჰოლანდია, პოლონეთი, ლუქსემბურგი.

სამხრეთ ამერიკაში დასახელებულია ასეთი ჯგუფები: 10. არგენტინა, პერუ, ბოლივია, 11. ბრაზილია, ვენესუელა, კოლუმბია, პარაგვაი, 12. ურუგვაი, ჩილი, ეკვადორი.

აფრიკის ფეხბურთის ეროვნულ ფედერაციათა ბრძოლა ფინალურ ტურნირში ადგილის მიცემისათვის წარმატებით დაგვირგვინდა: აფრიკის რეგიონალურ ტურნირში გამარჯვებული, რომელშიც 11 ნაკრები გუნდი მონაწილეობს, მიიღებს მეხიკოს საგზურს.

სულ ევროპას ეძლევა რვა ადგილი, სამხრეთ ამერიკას — სამი, ცენტრალურ და ჩრდილოეთ ამერიკას, აზიასა და აფრიკას—თითო.

ჩემპიონატის ორგანიზატორი ქვეყნის მექსიკისა და მსოფლიოს ჩემპიონის ინგლისის ნაკრები გუნდები საკვალიფიკაციო ტურნირების მოუწყობლად ჩარიცხეს თექვსმეტ გუნდში.

შესარჩევი ასპარეზობანი უნდა დამთავრდეს 1969 წლის 31 დეკემბერს. სულ წინასწარ ტურნირებში მონაწილეობას მიიღებს 70 გუნდი.

●

ასცენო ხელოვნება მაშინ არის მიმზიდველი, შთამბეჭდავი და ემოციურად ძლიერი, როცა გმირის, პერსონაჟის განცდები მართალია, როცა მსახიობი სინამდვილეს არ ღალატობს, ღრმად იჭრება თავისი გმირის შინაგან სამყაროში და მისი არსის გადმოცემას ახერხებს.

და მსახიობმა ამას რომ მიაღწიოს, მხოლოდ ბუნებით მომადლებული ნიჭი, გარდასახვის უნარი და შეძენილი ოსტატობა არ არის საკმარისი. ყველა ამ აუცილებელ ღირსებას თან უნდა ახლდეს ზომიერების გრძნობა, რაც ხელოვნებაში ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია.

მაყურებლის რეაგირება სპექტაკლისა და აქტიორის თამაშზე ყოველთვის არ არის მათი ღირსება-ნაკლოვანების უტყუარი მაჩვენებელი. როგორც შემოქმედი, ისე მაყურებელიც ხშირად ემპირული ეფექტების ტყვეობაში ვარდება და თვალსა და გრძნობას თანმიმდევრულად არ მიადევნებს აზრს, მის სიღრმეში არ იჭრება. ასეთ ვითარებაში ჭეშმარიტი ხელოვნება, თავისი დიდი მიზანდასახულობით, უბრალო სანახაობად ხურდავდება. ნამდვილ შემოქმედებას კი წვრილმანიც დიდ სიმაღლეზე შეუძლია აიყვანოს და ფილოსოფიურად განაზოგადოს, დიდი აზრი და ემოციური ძალა მიანიჭოს მას.

აი სწორედ ამ თვალსაზრისით არის საინტერესო გამოჩენილი სომეხი კლასიკოსის — აკოპ პარონიანის კომედიის — „ძია ბაღდასარის“ დადგმა კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე. პარონიანი გასული საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა. მისი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა დაემთხვა კაპიტალისტური ურთიერთობის აღმავლობას, როცა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ფეხს იკიდებდა ფულის კულტზე დაფუძნებული გამხრწნელი ბურჟუაზიული მორალი. მისი სატირა ღრმა სოციალური შინაარსისა იყო და მოურიდებლად ამხილებდა გაბატონებულ კლასებს, მწარედ დასცინოდა მმართველი სოციალური ჯგუფების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას, ნიღაბს ხდიდა მათ თვალთმაქცობასა და ფარისევლობას. პარონიანის სატირის განსაკუთრებული ღირსებაა, რომ ის ცხოვრების ემპირულ მოვლენებს როდი ემყარება, არამედ მის დედაარსში იჭრება, ცხოვრების მოვლენების სოციალურ ახსნასა და ფილოსოფიურ განზოგადებას იძლევა, წვრილმანში დიდს ხედავს. კომედიური მისთვის სერიოზულის წარმოსახვის მხოლოდ ფორმაა.

როცა ქართულ სცენაზე „ძია ბაღდასარის“ დადგმას ვუყურებთ, პირველ რიგში გვებადება კითხვა — სწორად გაიგო თუ არა დამდგმელმა სატირის ხასიათი და მოუნახა თუ არა მას გახსნის შესატყვისი ხერხები.

დამდგმელი კოლექტივის (რეჟისორი ვასო გოძიაშვილი, მხატვარი რ. ნალბანდიანი, კომპოზიტორი ნ. მირზოიანი, ქორეოგრაფი დ. მაჭავარიანი) სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დაკვირვებული შემოქმედებითი შრომის შედეგად მივიღეთ ერთიან მხატვრულ ენაზე ამეტყველებული საინტერესო სპექტაკლი, რომელშიც პირველწყაროს ეროვნული კოლორიტის სურნელებაც იგრძნობა და ზოგადადამიანურის სუნთქვაც. სპექტაკლში ზედმიწევნით და გამახვილებულად არის გადმოცემული კომედიის სატირული სიმწვავე და მამხილებელი პათოსი.

მაგრამ სპექტაკლის საერთო წარმატებას პირველ რიგში მაინც მთავარი როლების შესრულების მაღალი პროფესიული დონე განაპირობებს. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობებმა ლიტერატურულ პერსონაჟებს სცენური ხორცი შეასხეს და ისინი თავისი ეპოქის ცოცხალ ადამიანებად აქციეს.

უყურებთ ვასო გოძიაშვილის ძია ბაღდასარს და გავიწყდებათ, რომ თეატრის დარბაზში ხართ და მოქმედება სცენაზე ხდება. მსახიობი ხასიათის არსში იჭრება, რათა ნიშანდობლივი სულიერი თვისებები იპოვნოს და მოქანდაკესავით თანდათან გამოძერწოს, ცოცხალ ადამიანად აქციოს იგი. ამისათვის გოძიაშვილი არ იშურებს არც ოსტატობას, არც გამოსახვის საშუალებებს, თავისი მდიდარი პალიტრიდან დამახასიათებელ ფერებს არჩევს და პლასტიკურად და ფსიქოლოგიურად მეტად დამაჯერებელ მხატვრულ სახეს ქმნის.

აქ ერთ გარემოებასაც უნდა გაესვას ხაზი. პიესაში უხვად გაბნეული კომედიური სიტუაციები, რაც უშუალოდ თვით ბაღდასართან არის დაკავშირებული და მისი ხასიათით განპირობებული, მსახიობს ყოველთვის უქმნის საშიშროებას: ემპირულმა თეატრალურმა ეფექტებმა არ გაიტაცოს, პიესის შინაგანი სერიოზული მამხილებელი ტონი არ დაარღვიოს, მაგრამ ვ. გოძიაშვილს კარგად ესმის დრამატურგის ჩანაფიქრი და შემოქმედებითად აღრმავებს, სცენურად უფრო რელიეფურად გვიჩვენებს მას.

ბაღდასარი მხოლოდ მთავარი პერსონაჟი როდია პიესისა, იგი არის ერთგვარი ფოკუსიც, საიდანაც მამხილებელი პროჟექტორი ცხოვრების ყველა იარასა და მანკიერებას აშიშვლებს. ამიტომ ვ. გოძიაშვილის ბაღდასარი სისხლ-ხორცით თანდათან ივსება და სრულყოფილი ხდება. დანარჩენ პერსონაჟებთან ურთიერთობაში, იგი საკუთარ თავსაც ამხილებს და მოწინააღმდეგეებსაც, ბაღდასარი, ავტორისეული გაგებით, სიყვარულში გაწბილებული, მოტყუებული მამაკაცის პატივმოყვარეობისათვის კი არ იბრძვის, არამედ საერთოდ ადამიანის ღირსებისათვის. ამ უფრო ყეყეჩს, ვიდრე გულუბრყვილოს, შეუმჩნეველი არა რჩება, რომ ირგვლივ სიცრუე და ფარისევლობა მეფობს. საბოლოოდ თავის უძლურებასაც ხედავს და სხვის სისაძაგლესაც.

პიესის მთელი კონფლიქტი ჩვეულებრივ სასიყვარულო სამკუთხედზეა აგებული, მაგრამ მისი სიუჟეტი ჩვეულებრივად როდი ვითარდება. წყვილის საოჯახო დრამა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფსაც ითრევს თავის ორბიტაში და თვალწინ მთელი გაბატონებული საზოგადოებრივი ურთიერთობა დაგვიდგება.

ძია ბაღდასარი ბებერია, უშნო, ცოტა ყეყეჩიც, მაგრამ სამაგიეროდ მდიდარია და ეს თავისი ნაკლის საკმარის კომპენსაციად მიაჩნია. თუმცა თვითონ მას რომ ჰკითხოთ, არ დაგეთანხმებათ, — რა ვუყოთ, რომ მიამიტსა და ყეყეჩს მეძახიან, ვინც რა უნდა თქვას, ღმერთმა იცის, რომ მტერსაც კარგად ვცნობ და მოყვარესაცო.

აი ერთ დღეს მტერ-მოყვარის მცნობი ბაღდასარი მეგობრებთან ერთად თეატრში წავა, აქ შემთხვევით თვალს მოჰკრავს ახალგაზრდა, ლამაზ ქალს ანუშს და შეუყვარდება, მალე ცოლად შეირთავს. ეს უთანასწორო ქორწინება ბაღდასარის ტრაგედიად გადაიქცევა და სიცოცხლეს გაუმწარებს. ბაღდასარი გადაწყვეტს დასცილდეს მოღალატე ცოლს, მაგრამ ვერ ახერხებს. მეგობარიც ატყუებს, ვექილიც, მოსამართლეც. ანუში და მისი შეყვარებული ქიფარი ყველას ფულით მოისყიდიან, ცრუმოწმეებსაც დაიქირავებენ და საქმეს იქამდე მიიყვანენ, რომ ბაღდასარს ჩივილს სანანებლად გაუხდიან, იმ დღეს აწყევლინებენ, როცა თეატრში წავიდა და ანუშს პირველად შეხვდა. ეჰ, როგორც ცოდვილი ჯოჯოხეთში, ისე მოვხვდი ამ საზიზღარ სამყაროში და გამოსავალი გზა ვეღარ მიპოვნიაო. ყველა და ყველაფერი სიმართლის საწინააღმდეგოდ შეკრულა, სამართალს ვერსად პოულობს... იგი მსხვერპლია გაბატონებული საზოგადოებრივი ურთიერთობისა.

ერთი შეხედვით ეს მარტივი სიუჟეტი რთული პერიპეტიებითა და მახვილი კომედიური ხლართებით ხასიათდება. ბაღდასარი ათასნაირ [illegible] ობაში ვარდება და ვ. [illegible] ახერხებს ყველგან ხასიათ[illegible] ბა და თანმიმდევრობა შე[illegible]. მსახიობი სასაცილოს [illegible] ხატავს. მას არ შეუძლია [illegible] ითამაშოს, რადგან ყეყეჩ ბაღდასარს თავი ჭკვიანად და მოხერხებულ კაცად მიაჩნია. სასაცილო მდგომარეობაშიც თავი სერიოზულად უჭირავს. მოძრაობა, სახის მიმიკა, ჟესტები, ხმის მოდულაცია კონკრეტული მდგომარეობისათვის შესატყვისი მოუნახავს, დიდი ტაქტით თამაშობს და იშვიათ მხატვრულ სრულყოფას აღწევს. ბაღდასარი მსახიობის საუკეთესო სცენური სახეა.

მეორე მოქმედების დასაწყისში ბაღდასარი ვექილთან ერთად არის და სასამართლოში სათქმელ სიტყვას იზეპირებს. ვექილისაგან გამხნევებულს ხმასა და სახის გამომეტყველებაში ბედნიერების სხივი ჩასდგომია, იერი შესცვლია, მაგრამ დაჯერებულ ბედნიერად თავს მაინც არა თვლის. ფერების იშვიათი შენაცვლებით მსახიობი აქ გასაოცარ გამომსახველობას აღწევს.

გაიხსენეთ ან ის დიდებული მიზანსცენა, როცა გაოგნებული ბაღდასარი ზომიერებას კარგავს, მოწინააღმდეგეთა გამოჯავრებით აცეკვდება, წუთით სახეზე ისტერიული ღიმილი გადაურბენს, მერე, თითქოს გონს მოვიდაო, ხელს ჩაიქნევს და ირგვლივ ყველას ზიზღით შეხედავს. აქ თითქოს კანონზომიერად არის ერთმანეთში შერწყმული სიტკბოება და სიმწარე, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. მსახიობს ეს სცენა კარგად აქვს მოფიქრებული და ღიმილში ცრემლზე მეტ სიმწარეს აქსოვს, მწვავედ განგვაცდევინებს თავისი გმირის უბედურებას.

ლაკონიურად, მაგრამ მასშტაბურად დამუშავებული ასეთი მიზანსცენები ვასო გოძიაშვილს ამ როლში უხვად მოეპოვება. მათი დაწვრილებით განხილვა შორს წაგვიყვანდა.

მსახიობს პლასტიკურად ისე ზედმიწევნით და მეტყველად აქვს დამუშავებული დეტალები, რომ ძნელია გადაჭრით თქვათ, როდის უფრო ძლიერია იგი — მაშინ, როცა ლაპარაკობს, თუ მაშინ, როცა დუმს, პაუზების დროს, თუ მაშინ, თავის თავს რომ ეჩურჩულება და თქვენ სიტყვები არ გესმით. ვასო გოძიაშვილის ჟესტი და მიმიკა, დამახასიათებელი მოძრაობა სიტყვაზე უფრო მკვეთრად მეტყველებს.

მარინე თბილელის ანუში ზედმიწევნით ავტორისეულია. მსახიობს გამოჩენისთანავე სიცოცხლე შემოაქვს სცენაზე. მ. თბილელი გარდასახვის დიდ ოსტატობას ამჟღავნებს. მას კარგად აქვს მონახული გარდამავალი ფერები გულწრფელი და ფარისეველი, მართალი და მატყუარა ქალის ბუნების გადმოსაცემად.

ელენე ყიფშიძის სალომე ხალისით ავსებს დაბინდულ სამყაროს. ხასიათის კოლორიტის გადმოსაცემად მშვენივრად არის მიგნებული გრაფიკულად ზუსტი ხაზები და დამახასიათებელი მოძრაობა. იგი თამაშობს უბრალოდ, მსუბუქი იუმორით და გასაგებად.

სიამოვნებას განიჭებთ სანდრო ჟორჟოლიანის გამოსვლა ფაილაკის ეპიზოდურ როლში. ოთხმოცი წლის მსახიობს, რომელსაც სამოც წელზე მეტი გაუტარებია სცენაზე, შემორჩენილი აქვს ძველებური სცენური ეშხი და კომედიური მომხიბვლელობა.

მოსაწონი არიან გიორგი გელოვანის ქიფარი და გიორგი ტატიშვილის ოქსენი. მიუხედავად იმისა, რომ სწორხაზობრივად ავითარებენ ხასიათებს, მაინც აღწევენ შთამბეჭდაობასა და დამაჯერებლობას, დიდად მოიგებდა გ. ტატიშვილის ოქსენი, მსახიობს გამოსახვის ფერები ალაგ-ალაგ რომ შეერბილებინა და უფრო მკაფიოდ ეჩვენებინა პერსონაჟის შემპარავი ცბიერებაც, თორემ მისი ოქსენი პროკურორს უფრო ჰგავს, ვიდრე ვექილს.

სპექტაკლის საერთო წარმატებაში უმნიშვნელო არ არის ვ. ოსაძის, გ. გოგუას, ვ. კვიტაიშვილის, გ. ლეჟავასა და ნ. ჩხეიძის წვლილი. მართალია, ისინი ეპიზოდურ როლებში გამოდიან, მაგრამ გაგებითა და პასუხისმგებლობით ეკიდებიან მოვალეობას და ხელს უწყობენ სპექტაკლის მამხილებელ ტონუსს, არ არღვევენ დამდგმელთა მიერ ჩაფიქრებულ ერთიან გამახვილებულ სატირულ სტილს.

„ძია ბაღდასარი“ თეატრის კოლექტივის შემოქმედებითი წარმატებაა. ის თამამად შევა მის საუკეთესო ქმნილებათა რიცხვში.

ერემია ქარელიშვილი.

• • •

## როცა განცდები მართალია...

### ვასო გოძიაშვილი — რეჟისორი და მსახიობი



სურათზე: ვ. გოძიაშვილი ძია ბაღდასარის როლში.

## ოლიმპიადის კალეიდოსკოპი

△ ზამთრის პირველი ოლიმპიადა გაიმართა 1924 წელს საფრანგეთის კურორტ შამონიში. 44 წლის შემდეგ კი თეთრი ოლიმპიადა, რიცხვით მეათე, კვლავ საფრანგეთს ეწვია.

△ თუ პირველ ოლიმპიადაში, რომელმაც 10 დღეს გასტანა, მონაწილეობდა 16 ქვეყნის 293 წარმომადგენელი, გრენობლში გამოვა 40 ქვეყნის 2.300 სპორტსმენი. შეჯიბრება 13 დღეს გასტანს.

△ ოლიმპიადის პრეს-ცენტრში აკრედიტებულია 2.890 ჟურნალისტი. აქედან 565-მა კორესპონდენტმა პრეს-ბიულეტენის მიღება ისურვა ინგლისურ ენაზე, 415-მა — ფრანგულ ენაზე, 346-მა — გერმანულ ენაზე, 165-მა — რუსულ ენაზე.

△ თეთრი ოლიმპიადის მომსახურე პერსონალი, რომელიც მოქცეულია ოლიმპიურ ორბიტაში (უსაფრთხოება, ჯანმრთელობა, გადაყვან-გადმოყვანა, საბინაო მომსახურება), 20 ათასი კაცია. მათგან სამედიცინო მომსახურებას გასწევს 80 ექიმი და 138 მედიცინის და. მათს განკარგულებაში იქნება 14 სამედიცინო პუნქტი, 11 კლინიკა, სასწრაფო დახმარების 80 მანქანა და 8 ვერტმფრინავი.

△ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ჟორჟ პომპიდუმ პირველ თებერვალს დაათვალიერა გრენობლის სპორტული ნაგებობები, ოლიმპიური სოფელი და დაესწრო ოლიმპიელთა წვრთნას.

## სპორტული ქრონიკა

● კიდევ ერთი საერთაშორისო მატჩი გამართეს პრაღაში ჩეხოსლოვაკიისა და კანადის ოლიმპიურმა ნაკრებმა გუნდებმა შაიბიან ჰოკეიში. თუ პირველ მატჩში წარმატება მასპინძლებს ხვდათ, ამჯერად გამარჯვება კანადელებმა მოიპოვეს. მათ მოიგეს მატჩი 4:2.

● ბუქარესტში დამთავრდა რუმინეთის ღია ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. გუნდურ ასპარეზობაში ვაჟთა კოლექტივებს შორის წარმატება ხვდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდს, ქალთა კოლექტივებს შორის — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდს. საბჭოთა ჩოგბურთელი ვაჟები მეხუთე ადგილზე გამოვიდნენ, ქალები — მეექვსეზე.

„კომუნისტი“ სპორტი

## წვიმამ გადადო...

დაიწყო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალური ასპარეზობა ფეხბურთში.

31 იანვარს ბრაუნშვაიგში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „აინტრახტისა“ და ტურინის (იტალია) „იუვენტუსის“ საკლუბო გუნდები. მძაფრ ბრძოლაში წარმატება გერმანელებს ხვდათ ანგარიშით 3:2. ამ წყვილის მეორე მატჩი 28 თებერვალს გაიმართება ტურინში.

ამავე დღეს ვალენსიაში (ესპანეთი) უნდა შემდგარიყო ჩემპიონთა თასის გათამაშების კიდევ ერთი მეოთხედფინალური თამაში, ადგილობრივ „ვალენსიას“ და ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშებაში გამარჯვებულ მიუნხენის „ბავარიას“ შორის. კოკისპირულმა წვიმამ მეტოქეებს საშუალება არ მისცა ეს თამაში გაემართათ. გუნდების შეთანხმებით მატჩი გადატანილია 14 თებერვლისათვის.

### წინ არის ცსკა

უმაღლესი ლიგის ფრენბურთელ ქალთა კოლექტივები განაგრძობენ ბრძოლას სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტულისათვის. ასპარეზობა მიმდინარეობს დნეპროპეტროვსკსა და კადიევკაში.

წინ არის არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი, რომელიც დაუმარცხებლად იბრძვის. 10 ტურის შემდეგ ცსკა-ს 20 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა ირკუტსკის „სპარტაკი“ — 18 ქულა. მოსკოვის „ლოკომოტივსა“ და ლენინგრადის „ბურევესტნიკს“ 17-17 ქულა აქვთ.

### კიდევ ერთი წარუმატებლობა

რიგაში ფინიში აქვს კალათბურთში საკავშირო ჩემპიონატის პირველ წრეს. თუ რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის ქალთა გუნდი წაუგებლად განაგრძობს წინსვლას, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა პირველი წრის ფინიშთან ზედიზედ განიცადა დამარცხება. მორიგი მატჩი ჩვენმა გუნდმა წააგო ლენინგრადის „ბურევესტნიკთან“ 57:59.

## ტელევიზია

## ჩა ვცასოთ, ჩა ვოვისვინოთ

### 3 თებერვალი

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — „გილოცავთ დაბადების დღეს“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა „ჯანმრთელობა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — გადაცემა — 15 წელი ესტრადაზე — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ციცინო ციცქიშვილი, 12.30 — ბავშვებისათვის „სტუმრად ცხოველთა სამყაროში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.00 — „ეთერშია ახალგაზრდობა“ — ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატები „ფილიპ ჟერარი და ჟაკ დრეჟაკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — რეპორტაჟი ტანვარჯიშის სკოლიდან, 18.00 — კონცერტი, 18.20 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 18.40 — კინონარკვევი, 18.50 — „მელოდიიდან მელოდიამდე“ — საესტრადო პროგრამა, 19.10 — სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე „1964 წელი (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — ქართული მხატვრული ფილმი „გლახის ნაამბობი“, 21.25 — გადაცემათა პროგრამა 4 თებერვლისათვის, 21.30 — სატელევიზიო გასართობი პროგრამების 10 წლისთავი (გადმოცემა ფინეთიდან), 22.15 — „ცისფერი ეკრანის ფოსტა“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

### 4 თებერვალი

10.00 — ვარჯიში ბავშვებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.15 — „მალვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — დამწყები სპორტსმენის სკოლა — მაგიდის ჩოგბურთი (გაკვეთილი მეორე), 11.15 — ქართული მხატვრული ფილმი „პაპა გიგია“, 16.45 — გადაცემათა პროგრამა, 16.50 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე“ — 1965 წელი (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ზოგი რამ დედამიწის მიზიდულობაზე“ (ქართულ ენაზე), 19.10 — ლიტერატურული თეატრი „დრო, სუნთქვაშეკრული გარდასული“, 19.55 — კინონარკვევი, 20.05 — „მელოდია-67“ საესტრადო კონცერტი (გადმოცემა მესამე), 20.50 — კინონარკვევი, 21.10 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.20 — მხატვრული ფილმი „ორი ბილეთი დღის სეანსზე“, 22.55 — გადაცემათა პროგრამა 5 თებერვლისათვის, 23.00 — „ირაკლი ანდრონიკაშვილი მოგვითხრობს“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

რედაქტორი დ. მჟედლიშვილი.


„კომუნისტი“ | თბილისი, ლენინის 14 რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 9-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 8-22-93, მრეწველობის — 8-20-64, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 9-73-24, ილუსტრაციის — 8-28-54, განცხადებების — 8-93-96. | ჩვენი მისამართი და ტელეფონები